ახალი განათლება

08-14.11.2018

№33 (827) გამოდის 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge

გრიფირების კონკურსი გამოცხადდა

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ საბაზო და საშუალო საფეხურებისთვის სახელმძღვანელოების გრიფირების კონკურსი გამოაცხადა. მიმდინარე წელს VII კლასის სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესი დაიწყება, მომდევნო წლებში კი კონკურსი სხვა კლასებსაც შეეხება: 2019 წელს – VIII და IX კლასებს, ხოლო 2020 წელს, ეროვნული სასწავლო გეგმის საშუალო საფეხურის მიმდინარე რევიზიის დასრულების შემდეგ, კონკურსი საშუალო საფეხურის სახელმძღვანელოებზე გამოცხადდება.

სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსმა, **მარიამ ჩიქობავამ,** სპეციალურ ბრიფინგზე, ხაზი გაუსვა იმას, რომ ახალი კონკურსის პირობები, პროცესის დასაწყისშივე, ცხადი და მკაფიო იქნება ყველასთვის და ადგილი არ ექნება გზადაგზა განხორციელებულ არსებითი ხასიათის ცვლილებებს. გამომცემლებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან კონსულტაციების შემდეგ კი, დამტკიცდება რეცენზირების წესი, ასევე, შეფასების შინაარსობრივი და ტექნიკური კრიტერიუმები.

„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ავტორებისთვის მკაფიო გახდეს ეს მოთხოვნები სახელმძღვანელოების მომზადებისთვის. განსაკუთრებული აქცენტები გაკეთდება სახელმძღვანელოების ხარისხის უზრუნველყოფაზე; პირველ რიგში, უფრო მეტი დრო მიეცემათ გამომცემლებს სახელმძღვანელოების წერისთვის – მხოლოდ VII კლასის სახელმძღვანელოსთვის 4 თვეზე მეტი; გარდა ამისა, მეტი დრო დაიხარჯება თავად ავტორების მომზადებაზე: სახელმძღვანელოების ავტორებისთვის ჩატარდება ინტენსიური საგნობრივი კონსულტაციები, რომლებიც უკავშირდება თავად საგნის სტანდარტის გააზრებას, ასევე, შეფასების კრიტერიუმების გაგება-გააზრებას. შეხვედრებს ექნება ყოველკვირეული სახე; სამინისტროს გარდა, თემატურ სამუშაო შეხვედრებს ჩაატარებენ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ სახელმძღვანელოების წერის პროცესში ავტორებისთვის არც ერთი კითხვა არ დარჩეს პასუხგაუცემელი,“ – განაცხადა მარიამ ჩიქობავამ.

გრიფირების პროცესში რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილებაა:

❖ **შინაარსობრივი კრიტერიუმები** რაოდენობრივად შემცირდა, გახდა უფრო მოქნილი, მკაფიო და ეროვნულ სასწავლო გეგმაზე ორიენტირებული;

❖ **ხარისხისა და ფასის კორელაცია** – სახელმძღვანელოების ხარისხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საბოლოო ქულის გაანგარიშებაში დაგეგმილია შემცირდეს ფასის წონა, ხოლო შინაარსის ხარისხის წონა კი გაიზარდოს. წინა გრიფირების დროს შეფარდება იყო – 70% (შინაარსი) და 30% (ფასი), ამჟამად პროპორცია ხარისხზე ორიენტირებული იქნება, კერძოდ, 90% – შინაარსის წონა, ხოლო 10% – ფასი;

❖ **რეცენზენტების შერჩევა –** წინა გრიფირებისგან განსხვავებით, შემფასებლების შერჩევის პროცესი იქნება სრულიად გამჭვირვალე. სახელმძღვანელოებს შეაფასებს არა დამატებითი კომისია, არამედ გამსწორებელთა მხოლოდ ერთი ჯგუფი.

სახელმძღვანელოები რამდენიმე მიმართულებით შეფასდება: ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობა; შინაარსობრივი გამართულობა; სტრუქტურული გამართულობა; ენობრივი გამართულობა; სამართლებრივ და ეთიკურ ნორმებთან შესაბამისობა; მდგრადი განვითარების პრინციპებთან შესაბამისობა.

გვ. 2

პროფესიული განვითარება

ციფრებში ასახული მასწავლებელთა აქტივობები

მანანა რატიანი: შთამბეჭდავია წელს კარიერულად დაწინაურებული მასწავლებლების რაოდენობა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პროცესი იმაზე კი არ არის ორიენტირებული, მასწავლებლებს საქმიანობაში ხარვეზები აღმოვუჩინოთ და „დავსაჯოთ“, არამედ – მათ განვითარებაზე. რეკომენდაციებსაც სწორედ იმისთვის ვაძლევთ, რომ ხარვეზები სამომავლოდ გამოასწორონ.

გვ. 3

დირექტორი

პოზიტიური გარემო და ჰუმანური განწყობა – ინკლუზიური პროცესის წარმატებით განხორციელების რეცეპტი

თბილისის №198 სკოლის დირექტორთან, თეონა ყაჭეიშვილთან საუბრით ვიწყებთ ახალ რუბრიკას „დირექტორი“, რომლის მიზანია საგანმანათლებლო ლიდერის თვისებების წარმოჩენა, წარმატებული პრაქტიკის გაცნობა და სკოლის მართვის პოლიტიკის ჩამოყალიბების ხელშეწყობა. რუბრიკის სტუმრები კოლეგებს, საკუთარი გამოცდილებით, დაეხმარებიან სწორად განსაზღვრონ რა ძირითადი ელემენტებისგან შედგება სკოლის ხარისხი, რა არის ის უმთავრესი, რაც საგანმანათლებლო ლიდერის მისიის შესასრულებლადაა აუცილებელი და როგორ განხორციელდეს სკოლაში მართვა პროფესიულ განვითარებაზე უწყვეტი ზრუნვით ისე, რომ დირექტორი, უპირველეს ყოვლისა, იყოს სასწავლო ლიდერი.

გვ. 4

სამოქალაქო გაკვეთილი

ღერძული სიმეტრია

Առանցքային համաչափություն

თბილისის №100 საჯარო სკოლის 700-მდე მოსწავლე უახლესი სტანდარტის, ახალ, თანამედროვე შენობაში ისწავლის

თანამედროვე კაბინეტებით, საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიებით, საკონფერენციო და სპორტული დარბაზებით აღჭურვილი შენობა, ყველა კრიტერიუმით, მოსწავლეზეა ორიენტირებული.

ძველი შენობის დემონტაჟის შემდეგ, ახალი სკოლის მშენებლობა 2016 წელს დაიწყო და მისმა ბიუჯეტმა 5 506 000 ლარი შეადგინა.

პროფესიული განვითარება

ციფრებში ასახული მასწავლებელთა აქტივობები

*მასწავლებლებისთვის სტატუსის მინიჭების პროცესმა წელს განსაკუთრებით დაიგვიანა, თუმცა, სქემაში დაწინაურებულთა რიცხვი საკმაოდ შთამბეჭდავია და 6000-მდე პედაგოგი სტატუსს იუმჯობესებს. მათ შორის, განათლების სისტემას 30 მენტორი შეემატა. „მასწავლებლებლებზე სტატუსის მინიჭების პროცესი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია, რადგან სწორედ ამ პერიოდში ვაჯამებთ სასწავლო წელიწადს და გვაქვს საშუალება შევხედოთ სრულ სურათს, რამდენად აქტიურობდნენ ან როგორ საქმიანობდნენ პედაგოგები წლის განმავლობაში.“ – აცხადებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე **მანანა რატიანი** და დეტალურად საუბრობს სტატუსის მინიჭების პროცესიის დამაბრკოლებელ მიზეზებზე, წლის განმავლობაში გამოვლენილ ხარვეზებსა და სქემის მიმართულებით დაგეგმილ მოსალოდნელ ცვლილებებზე.*

– რატომ დაგვიანდა წელს მასწავლებლისთვის სტატუსის მინიჭება?

– შეფასების ჯგუფებისთვის მასწავლებელთა სტატუსებზე წარდგენის ბოლო ვადად განსაზღვრული იყო 15 სექტემბერი. წარდგინების შემდეგ, ჩვენ დავიწყეთ მასწავლებელთა საქმიანობის პორტფოლიოს გადახედვა და სტატუსების მინიჭება. მაგრამ, სამწუხაროდ, შეფასებისა და გამოცდების ცენტრის მიერ, მასწავლებელთა კომპეტენციის დადასტურების შედეგების ასახვა შედარებით გვიან მოხდა. სწორედ აქედან გამომდინარე, მასწავლებელთა ნაწილს, რომელთაც სტატუსი 10 ნომებრამდე უნდა მიენიჭოს, სატატუსი ვერ შეეცვლება.

მთლიანობაში რომ დავაჯამოთ, აღმოჩნდა, რომ წელს 5234 პრაქტიკოს მასწავლებელს მიენიჭა უფროსი მასწავლებლის სტატუსი, 441 პრაქტიკოსი კი ისევ სტატუსის გარეშე დარჩა, რადგან ხარვეზები დაფიქსირდა – არასწორად ჰქონდათ განხორციელებული აქტივობები ან წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ ჩანდა მათ მიერ განხორციელებული საქმიანობა. მნიშვნელოვანი ცვლილებაა უფროს მასწავლებლებშიც – 223 უფროს მასწავლებელს წამყვანის სტატუსი მიენიჭა, აქაც, გარკვეული მიზეზების გამო, 74 ვერ გახდა წამყვანი მასწავლებელი; 31 წამყვანი კი მენტორი (15 მასწავლებელს არ მიენიჭა) გახდა და დღეს სისტემას, უკვე 40 მენტორი ჰყავს. ასეთი შთამბეჭდავია წელს კარიერულად დაწინაურებული მასწავლებლების რაოდენობა.

თუმცა, აუცილებლად მინდა გითხრათ, რომ ეს საბოლოო მონაცემი არ არის, რადგან ჯერ კიდევ მიმდინარეობს სტატუსის მინიჭების პროცესი იმ მასწავლებლებისთვის, ვინც გამოცდის შედეგად ახერხებს სტატუსის ცვლილებას. ამიტომ უფროსი მასწავლებლის რაოდენობა 10 ნოემბრამდე კიდევ შეიცვლება და, სავარაუდოდ, 200-ზე მეტი პრაქტიკოსი უფროსი გახდება. კიდევ ერთი ეტაპი, რაც ასევე სტატუსებზე იქონიებს გავლენას, აპელაციაა (აპელაციების შემოტანის პროცესი დასრულებულია) და, ძირითადად, იმ მასწავლებლების სტატუსის ცვლილებას შეეხება, რომელთა წარდგენისას, სკოლის შეფასების ჯგუფებმა, გარკვეული შეცდომები დაუშვეს. არ გვინდა მასწავლებლები ამის გამო დაზარალდნენ. 500-მდე განაცხადია შემოსული, რომელთა განხილვას სააპელაციო კომისია 15 დეკემბრამდე მორჩება. შეიძლება ითქვას, რომ, საბოლოო ჯამში, წელს სტატუსის ცვლილება 6000-მდე მასწავლებელს შეეხება.

– როდის მიიღებენ სქემაში დაწინაურებული მასწავლებლები სტატუსის დანამატებს?

– მექანიზმი ასეთია – ყოველი თვის 10 რიცხვისთვის Emis-ს უნდა გადაეცეს ბაზები სტატუსის ცვლილების შესახებ და დანამატის ანაზღაურებაც სწორედ ამ რიცხვიდან ხდება ხოლმე.

– რა მიზეზით ეთქვა მენტორობაზე უარი15 წამყვან მასწავლებელს?

– მიზეზები განსხვავებულია. შესაძლებელია აღმოჩნდეს, რომ მასწავლებელს რაოდენობრივად საკმარისი კრედიტი აქვს დაგროვებული, რომ მენტორი გახდეს, მაგრამ აქედან, სავალდებულო კრედიტები არ არის საკმარისი. მათი ვალდებულებაა ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება, შესაბამისად, უარიც ადეკვატურია. იყო შემთხვევები, როცა მათი დოკუმენტაციის გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ გარკვეული ტექნიკური ხარვეზების გამო სკოლას არასწორად აქვს რაღაც შეფასებული ან არასწორ ველშია შეფასებული. ასეთი შემთხვევების გამოსწორების საშუალებას მათ აპელაციით ვაძლევთ ხოლმე. ასევე, როცა შეფასება ბადებს ეჭვს, ასეთ შემთხვევაშიც გადაიხედება, მაგალითად, კვლევების შეფასების კომპონენტი. მასწავლებლებს გავუგზავნეთ რეკომენდაციები, ამ შემთხვევაში, რა უნდა გამოასწორონ. შესაძლებელია, მათ მოუწიოთ საკმაოდ მცირე ცვლილების განხორციელება, რომელსაც ანგარიშში შეიტანენ. იყო ისეთი შემთხვევებიც, მაგალითად, როცა კვლევებში არ არის ჩატარებული ინტერვენცია, არადა, პრაქტიკის კვლევის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია ინტერვენციის ჩატარება და შემდეგ შედარება.

აქედან გამომდინარე, მასწავლებლებს მოუწევთ ინტერვენციის დამატებით ჩატარება და ანგარიშის ხელახლა წარმოდგენა. ეს, ძირითადად, ეხება წამყვანის ან მენტორის სტატუსის მინიჭების კანდიდატებს, რადგან კვლევა ამ საფეხურის მასწავლებლებისთვისაა აუცილებელ კომპონენტად განსაზღვრული. მათ შეუძლიათ იანვრამდე გამოასწორონ ეს ხარვეზები.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პროცესი იმაზე კი არ არის ორიენტირებული, რომ მასწავლებლებს საქმიანობაში ხარვეზები აღმოვუჩინოთ და „დავსაჯოთ“, არამედ – მათ განვითრებაზე. რეკომენდაციებსაც სწორედ იმისთვის ვაძლევთ, რომ ხარვეზები სამომავლოდ გამოასწორონ.

– დაწინაურდნენ თუ არა წელს სქემაში არაქართულენოვანი მასწავლებლები?

– რასაკვირველია, გვყავს მასწავლებლები, რომლებსაც მიენიჭათ სტატუსი, მაგრამ ეს საფეხურებრივი ცვლილება, ძირითადად, პრაქტიკოს მასწავლებელს შეეხო. წამყვანი მასწავლებლის სტატუსი კი, ძირითადად, მასწავლებელთა იმ მცირე ნაწილს მიენიჭა, რომლებიც ქართულს, როგორც მეორე ენას ასწავლიან არაქართულენოვან რეგიონებში. გარედაკვირვებაზეც, არაქართულენოვანი სკოლებიდან, ძირითადად, სწორედ ამ პროგრამის მასწავლებლები დარეგისტრირდნენ. ბუნებრივია, არაქართულენოვანი მასწავლებლებისთვის ცენტრი დამატებით აქტივობებს ახორციელებს, რომ ხელი შევუწყოთ მათ პროფესიულ განვითარებას. გარდა კონსულტანტი მასწავლებლებისა, არაქართულენოვან რეგიონებში დამხმარე მასწავლებლებსაც ვაგზავნით და მათში მნიშვნელოვნად გავზარდეთ 1+4 პროგრამის კურსდამთავრებულების წილი. ეს ახალგაზრდები თავიანთ მომავალ ცხოვრებას ადგილზე დამკვიდრებით გეგმავენ და ბუნებრივია, მათი ხელშეწყობა უმნიშვნელოვანესია, მეტიც, ჩვენი მიზანია ისინი თავიანთ სოფლებსა თუ ქალაქებში დამკვიდრდნენ და პროფესიულად განვითარდნენ. ვფიქრობთ, სკოლებში მათი შესვლა მართლაც, მნიშვნელოვან ცვლილებებს მოიტანს.

– რა ცვლილებები იგეგმება სქემასთან დაკავშირებით და შეეხება თუ არა გამოცდებს?

– შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრთან მიმდინარეობს მსჯელობა, გაიმიჯნოს თუ არა გამოცდის ტიპი პროფესიაში შემსვლელთათვის და მოქმედი მასწავლებლებისთვის – რა ინფორმაცია უნდა იყოს ასახული როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში. როგორც გითხარით, ჯერჯერობით, ამის საჭიროებას ვადგენთ, ხოლო რაც შეეხება გამოცდებს, დანამდვილებით გეტყვით, რომ აუცილებლად დარჩება, როგორც სქემის მთავარი კომპონენტი.

ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი თანამშრომლობა შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრთან კიდევ ერთი მიმართულებით – ვთხოვეთ, გამოცდების შემდეგ, დაგვიდგინონ მასწავლებლების საჭიროებები – სად აქვთ მათ ყველაზე მეტი პრობლემა. საჭიროების გამოკვეთის შემდეგ, პედაგოგებს სწორედ იმ მიმართულებით შევთავაზებთ განვითარების საშუალებას – ტრენინგების თუ სხვა რესურსების სახით. ჩვენი მიზანიც სწორედ ეს არის, მასწავლებლებს დავეხმაროთ იქ, სადაც ყველაზე მეტი პრობლემაა. სამწუხაროდ, აქამდე მსგავსი ანალიზი არ კეთდებოდა. იმედი მაქვს, რომ ცენტრთან ასეთი თანამშრომლობა შედგება, რაც მასწავლებლების კარიერულ წინსვლაზე სასიკეთოდ აისახება.

რაც შეეხება სქემაში ცვლილებებს, დაგეგმილი კი გვქონდა, მაგრამ, რამდენიმე ფაქტორის გამო შევაჩერეთ. პირველი, რის გამოც ცვლილებები გადავდეთ, ის იყო, რომ ვარჩიეთ, შეფასების პროცესი მთლიანად დასრულებულიყო 15 სექტემბრისთვის და ამის შემდეგ, დამატებით, ჩაგვეტარებინა ფოკუსჯგუფები ხარვეზების გამოსავლენად, რათა სქემაში ასახულ ცვლილებებს, სამომავლოდ, მათი პრევენცია შეძლებოდა. ფოკუსჯგუფები უკვე ჩატარდა მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან, შეფასების ჯგუფებთან, ტრენერებთან და შეგროვდა ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც გამოიკვეთა, რა მიმართულებით გახდება სქემის დახვეწა საჭირო. ამის გარდა, სქემა შესაბამისობაში უნდა მოვიდეს სამინისტროს მიერ ზოგადი განათლების მიმართულებით დაგეგმილ რეფორმასთან, რადგან მასწავლებლის საქმიანობის შეფასებისა და პროფესიული განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი სწორედ სქემაა. აქედან გამომდინარე, პროცესები აუცილებლად უნდა იყოს თანხვედრაში.

– რა არის ის ძირითადი საჭიროებები, რაც ფოკუსჯგუფებმა გამოავლინა?

– იმის გამო, რომ შეფასების ჯგუფებს, წელს, პირველად ჰქონდათ შეხება მასწავლებლის სტატუსის ცვლილებასთან და აქტივობებთან, საკმაოდ გაუჭირდათ შეფასების წარმოება. ამიტომ გვინდა, რომ შეფასება ელექტრონულ სისტემაზე გადავიყვანოთ, რაც ძალიან გაუიოლებს მათ მუშაობას. ასევე, მნიშვნელოვანია ისიც, რომ მასწავლებლებს აღარ სჭირდებოდეთ მუდმივად ცნობების თუ სხვა დოკუმენტაციის დასკანერება და ატვირთვა. ბუნებრივია, ამ მიმართულებითაც განვახორციელებთ ცვლილებებს – 21-ე საუკუნეში ეს ყველაფერი ავტომატიზებული უნდა იყოს.

ამის გარდა, საუბარია სქემაში გარკვეულ ცვლილებაზეც, მაგალითად, სტატუსის შენარჩუნების კომპონენტზე. ამ საკითხზე ახლაც მიმდინარეობს მუშაობა, თუმცა, საბოლოოდ რა სახით ჩამოყალიბდება, ჯერ ვერაფერს გეტყვით.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელზეც აუცილებლად მინდა გითხრათ, სპეცსკოლების (ახლა რესურსსკოლებად იწოდებიან) მასწავლებლებს ეხება. მათ უნდა მივცეთ სქემაში წინსვლის შესაძლებლობა. ამისთვის კი, აუცილებელია რესურსსკოლებს მივცეთ აქტივობების შესაფასებელი სტანდარტიზებული ინსტრუმენტის მოდიფიცირების საშუალება, რადგან მათ აბსოლუტურად განსხვავებული პრაქტიკა აქვთ. რესურსსკოლები, რასაკვირველია, ახლაც ჩართული არიან სქემაში, მაგრამ კრედიტების დაგროვება უჭირთ, რადგან სტანდარტიზებული ინსტრუმენტით მათი აქტივობები ვერ იზომება.

– როდის ამოქმედდება სპეცმასწავლებლების პროფესიული განვითარების სქემა?

– ამ მიმართულებით მუშაობა მიმდინარეობს, ეს არ იქნება არსებული სქემის ანალოგი. სპეცმასწავლებლების სქემა დამოუკიდებელად ჩამოყალიბდება და, სავარაუდოდ, მომავალი სასწავლო წლიდან ამუშავდება.

– საინტერესოა ამუშავდა თუ არა მოწვეული და მაძიებელი მასწავლებლის პროგრამები?

– მოწვეული მასწავლებლის სტატუსი ზოგადი განათლების კანონით განისაზღვრა და მასზე სკოლაა პასუხისმგებელი. კანონში გაწერილი კრიტერიუმების მიხედვით, სკოლას შეუძლია, კონტრაქტი გაუფორმოს მოწვეულ მასწავლებელს. ეს სისტემა უკვე მუშაობს.

რაც შეეხება მაძიებელი მასწავლებლის პროგრამას, როგორც კანონით განისაზღვრა, მას ჩვენი ცენტრი შეიმუშავებს. სავარაუდოდ, იანვრისთვის პროგრამის საბოლოო კონტურები ჩამოყალიბდება. პროგრამაში ჩართვა კი, სექტემბრიდან გახდება შესაძლებელი. ძალიან ბევრი სამუშაოა შესასრულებელი, სპეციალურად ამ პროგრამისთვის უნდა შეიქმნას ონლაინ კურსები თუ სხვადასხვა ტიპის აქტივობები. ვფიქრობთ, სამომავლოდ სწორედ ეს პროგრამა გახდება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იმისთვის, რომ სკოლებში ახალი კადრები შემოვიდნენ.

– ვის შეუძლია გახდეს მაძიებელი?

– როგორც იცით, პროფესიაში შემოსვლის რამდენიმე გზა არსებობს, ერთ-ერთი (ძირითადი) გზა ასეთია – მასწავლებლობის მსურველს გამოცდით უნდა ჰქონდეს დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია და დიპლომით განსაზღვრული მასწავლებლობის კვალიფიკაცია ან უნდა გაიაროს მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამა. მაძიებლის პროგრამით კიდევ ერთი ალტერნატიული გზა გაჩნდება. მაძიებელი იქნება პირი, რომელსაც აქვს, სულ მცირე, ბაკალავრით განსაზღვრული ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი სპეციალობის კვალიფიკაცია. ასეთი მსურველი, მაძიებლის სტატუსით, შეძლებს მუშაობის დაწყებას და, პარალელურ რეჟიმში, მაქსიმუმ, ორი წლის ვადაში მოუწევს დარგობრივი მახასითებლებით განსაზღვრული კომპეტენციების დადასტურება. ფაქტობრივად, მაძიებლის პროგრამა საბოლოოდ მისაღწევი კომპეტენციებით, საუნივერსიტეტო მასწავლებლის მომზადების პროგრამას უტოლდება. თავისთავად, აქ არ არის გათვალისწინებული გამოცდების კომპონენტი, არამედ პროგრამაში ჩადებულია სწავლებისა და შემოწმების კომპონენტი.

მაძიებლებს, პროგრამის ფარგლებში, თანადგომასა და მხარდაჭერას გამოვუცხადებთ კომპეტენციების განვითარებაში, შევთავაზებთ გზებს და შესაძლებლობას, პროგრამის გავლით დაძლიონ კომპეტენციები. პრინციპში, მაძიებელს არჩევანის გაკეთების საშუალებას ვაძლევთ მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიან პროგრამასა და მაძიებლის პროგრამას შორის. დეფიციტური კადრების მქონე სკოლებს კი – მასწავლებლის სწრაფად აყვანის შესაძლებლობას, რად-

პროფესიული განვითარება

გან შეიძლება მსურველმა დაიწყოს მუშაობა და პარალელურად ჩაერთოს მაძიებლის პროგრამაში.

– დაბოლოს, ახლახან დასრულდა რეგისტრაცია გარედაკვირვებაზე და ცნობილი გახდა, რომ მასწავლებელთა საკმაოდ დიდმა რაოდენობამ გამოთქვა სურვილი გაიაროს გარედაკვირვება. რომელი რეგიონის მასწავლებლები ლიდერობენ და როდის დასრულდება რეგისტრირებული მასწავლებლების დაკვირვების პროცესი?

– პილოტირების პროცესში, გარედაკვირვება 500-მდე მასწავლებელმა გაიარა და ჩვენ მხოლოდ ერთსემესტრიანი გამოცდილება გვაქვს. წლევანდელ სასწავლო წელს მართლა უპრეცედენტო რაოდენობის მასწავლებელი დარეგისტრირდა, მათი რიცხვი 2000-მდეა. შეგახსენებთ, რომ გარედაკვირვება სავალდებულოა წინსვლისთვის და არა სტატუსის შენარჩუნებისთვის და მას გადის უფროსი მასწავლებელი, რომელსაც წინასწარ დაგროვებული აქვს 13 კრედიტქულა და აქედან, ორი კრედიტი აუცილებლად სავალდებულო აქტივობებითაა მოპოვებული. ფაქტობრივად, თუ ის გარედაკვირვებას წარმატებით გაივლის (მიიღებს 4 კრედიტქულას) მზად იქნება იმისთვის, რომ დამატებითი აქტივობებით შეივსოს კიდევ ორი კრედიტი (შესაძლებელია მას ეს ორი ქულაც აქვს) – ჯამში, მას უნდა ჰქონდეს 19 კრედიტქულა, რომ წინ წავიდეს, ანუ გახდეს წამყვანი.

წელს ყველაზე მეტად იმერეთის რეგიონი აქტიურობს, 700-ზე მეტი მასწავლებელი სწორედ ამ რეგიონიდან დარეგისტრირდა. გასულ კვირას მათთან შეხვედრები ჩავატარეთ, ჩვენი მიზანია სრული ინფორმაცია მივიტანოთ მასწავლებლებამდე ყველა პროცედურაზე, რაც ელოდებათ და გარედაკვირებასთან დაკავშირებულ ყველა კითხვაზე ამომწურავი პასუხი გავცეთ.

გარედაკვირვებაზე დარეგისტრირებული მასწავლებლები, eSchool-ის ბაზაში, 10 ნოემბრამდე, შეიტყობენ გარედაკვირვების გავლის დღეს. დანიშნულ დღემდე ხუთი დღით ადრე ვალდებული არიან, გამოაგზავნონ ხუთი თანმიმდევრული გაკვეთილის გეგმა იმ კლასში, რომელშიც გარედაკვირვებას გადიან. კლასი წინასწარ აქვთ არჩეული დარეგისტრირების დროს. ხუთი გაკვეთილის გეგმიდან, დასაკვირვებლად, ერთ-ერთს ავირჩევთ. მასწავლებლებმა წინასწარ იციან პერიოდი, მაგრამ არ იციან კონკრეტულად რომელ გაკვეთილს დავაკვირდებით.

გარედაკვირვების პროცესს შეიძლება სკოლის ფასილიტატორი და რესურსცენტრის წარმომადგენელიც დაესწროს. გაკვეთილის შეფასება ათი დღის განმავლობაში აისახება, თუმცა, მანამდე არ უნდა დაავიწყდეთ ძალიან მნიშვნელოვანი დეტალი – გაკვეთილის ჩატრებიდან ორი დღის განმავლობაში ატვირთონ რეფლექსია. ეს პროცედურები საკმაოდ მარტივია, გაკვეთილის ფორმაც წინასწარ დაეგზავნათ, რომლის მიხედვითაც უნდა მოამზადონ გაკვეთილები, წინასწარ განსაზღვრული გაკვეთილის ფორმა ჩვენს ვებგვერდზეც შეუძლიათ ნახონ. რაც შეეხება გაკვეთილის გეგმის ფორმაში შესულ ცვლილებებს, ფაქტობრივად, ორი მცირე ცვლილებაა და გულისხმობს გაკვეთილის გეგმის, თემატიკის და მიზნების შესაბამისობას ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და სსსმ მოსწავლეებთან დაკავშირებული აქტივობების მოდიფიცირებას (თუკი კლასში ასეთი მოსწავლეები ჰყავთ) – გვაინტერესებს, აქტივობა, რომელიც კლასისთვის იგეგმება, რამდენად ზუსტად არის მოდიფიცირებული სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლისთვის.

რეგისტრაცია დასრულებულია. 10 ნოემბრისთვის ზუსტად იქნება განსაზღვრული, სასწავლო წლის განმავლობაში, როდის იქნება ჩანიშნული კონკრეტული მასწავლებლის გარედაკვირვება. ამ სემესტრში 580 მასწავლებლის გარედაკვირვებას ვგეგმავთ, სასწავლო წლის ბოლომდე კი, ყველა რეგისტრირებული მასწავლებლის დაკვირვება დასრულდება.

ესაუბრა ლალი ჯელაძე

დირექტორი

პოზიტიური გარემო და ჰუმანური განწყობა – ინკლუზიური პროცესის წარმატებით განხორციელების რეცეპტი

რუბრიკის სტუმარია №198 სკოლის დირექტორი თეონა ყაჭეიშვილი, რომელსაც სკოლის მართვის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. მას მიაჩნია, რომ სკოლის საგანმანათლებლო მისიის შესასრულებლად უმნიშვნელოვანესია საქმისადმი რწმენა, სიახლეების დანერგვა, ოპტიმისტური განწყობა, პოზიტიური თანამშრომლობითი გარემო, ცვლილებების მართვა და მუდმივი განვითარება. ინკლუზიური სწავლების მიმართულებით მის მიერ განხორციელებული საქმიანობა და ინოვაციური, საპილოტე პროექტები საუკეთესო რესურსად შეიძლება გამოიყენონ კოლეგებმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა საზოგადოებაში ინტეგრირებისთვის.

რას ნიშნავს იყო საგანმანათლებლო ლიდერი

თანამედროვე განათლების სისტემაში სკოლის დირექტორად მუშაობა შეუძლებელია ლიდერული პოზიციის გარეშე. რაც უნდა თანამონაწილეობითი და თანამშრომლობითი პრინციპებით მუშაობდე, ხშირად საჭიროა დამოუკიდებელი და შემოქმედებითი სწრაფი რეაგირება/მოქმედება... საგანმანათლებლო ლიდერმა არა მარტო სასკოლო გუნდის მართვა უნდა შეძლოს, არამედ მართოს საკუთარი თვითმიზანი, მუდმივი განვითარების, კვალიფიკაციის ზრდის ციკლი, ასევე, მართოს ცვლილებები სკოლის შიგნით და არ შეუშინდეს ხარვეზების აღიარებას.

რა ძირითადი ფაქტორები განაპირობებს სკოლის წარმატებას

სკოლის წარმატებას მრავალი ფაქტორი განაპირობებს, მაგრამ მე გამოვყოფდი სკოლის კულტურას და კლიმატს, შემდეგ მასწავლებელთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციას, პროგრამებს, მეთოდიკას, სასწავლო რესურსებსა და მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას.

უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე არა მარტო მასწავლებლები, არამედ მოსწავლეებიც შეიცვალნენ – უკვე აღარ აქვთ მასწავლებლის, როგორც არამიწიერი არსების, ხატი... მათ უშუალო ურთიერთობები, საინტერესო თემები და კეთებით სწავლება სჭირდებათ. ყველა სკოლისთვის უმთავრესი შედეგი მოსწავლეების მომავალი ცხოვრებისთვის მომზადებაა.

საბჭოური დეფექტოლოგიის მსხვრევა

„სპეციალური სკოლა“, ანუ სკოლა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (შემდგომ სსსმ) მოსწავლეებისთვის, ათი წლის წინ, ასოცირდებოდა მხოლოდ ძალიან რთულ სამუშაო გარემოსთან, მოსწავლეთა „სისუსტეებთან“, მათ სხვადასხვა სერიოზულ პრობლემებთან და არავითარ შემთხვევაში – წარმატებული მუშაობის შესაძლებლობებთან.

სწორედ ამ პერიოდში დავიწყე მუშაობა თბილისის №198 სკოლაში. გამიმართლა, რადგან ჩემი დირექტორობის პირველი ნაბიჯები საქართველოში ინკლუზიური განათლების დანერგვის პილოტურ წლებს დაემთხვა. აქედან გამომდინარე, სასკოლო საზოგადოებასთან ერთად, მეც ვსწავლობდი და ვამკვიდრებდი სწორ ხედვას – მასწავლებლებთან, სპეციალისტებთან, სსსმ მოსწავლეთა მშობლებთან ერთად ვამსხვრევდი „საბჭოურ დეფექტოლოგიას“. ადვილი ნამდვილად არ იყო, ორიენტაცია მოგეხდინა სსსმ მოსწავლის ძლიერ მხარეებზე. ვცდილობდით გარემოს ადაპტირებას, რესურსების მოზიდვას, სხვადასხვა ტრენინგების მეშვეობით კადრების გადამზადებას, უახლოესი მეთოდოლოგიებისა და სტრატეგიების დამკვიდრებას. თუმცა, ხშირად, სიახლეების დამკვიდრება საკუთარი გამოცდილებისა და შეცდომების გზით ხდებოდა.

დღეს, როცა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება ინკლუზიური განათლებაა, ჩვენი სკოლა, ტრანსფორმაციის შედეგად, გადაიქცა ღია სკოლად, რომელსაც სხვა სკოლებისთვის საკუთარი წარმატებული გამოცდილების გაზიარება შეუძლია. ეს სურვილი სამინისტროს კონცეფციასაც ემთხვევა, რომლის მიხედვით, ე.წ. „სპეციალიზებული“ სკოლები უკვე რესურსსკოლებად განისაზღვრა. №198 საჯარო სკოლა საშუალო და მძიმე ინტელექტუალური დარღვევის მქონე და აუტისტური სპექტრის მქონე მოსწავლეებს ემსახურება (2018 წლის 1 ნოემბრის მონაცემებით, სკოლაში 174 სსსმ მოსწავლე სწავლობს).

რა დახმარების გაწევა შეუძლია რესურსსკოლას სხვა სკოლებისთვის, ინკლუზიური განათლების განხორციელების კუთხით

ერთ-ერთი ფუნქცია, რომელიც შესაძლებელია რესურსსკოლამ განახორციელოს, სწორედ სხვა სკოლების მასწავლებელთა მხარდაჭერაა.

თბილისის №198 საჯარო სკოლას დიდი ექსპერტული გამოცდილება აქვს, მასწავლებელთა მხარდასაჭერ პროგრამათა განხორციელების მხრივ. ჩვენი დაწესებულება, მეორე წელია, მონაწილეობს „მასწავლებელთა სახლის“ პროგრამაში – „რეგიონული ტური“. პროგრამა გულისხმობს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან სპეციალურ მასწავლებელთა ვიზიტს რესურსსკოლაში, სადაც ისინი, თეორიულ ცოდნასთან ერთად, რეალურად ეცნობიან სხვადასხვა სტრატეგიისა და მეთოდის პრაქტიკაში გამოყენებას.

რესურსსკოლებს საჯარო და კერძო სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერაც შეუძლიათ: UNESCO-ს პროგრამის ფარგლებში, სასკოლო საზოგადოების სამი მიზნობრივი ჯგუფისთვის (მასწავლებლების, სსსმ მოსწავლეთა მშობლები და სკოლის დირექცია), წარმატებულ ქეისებზე დაყრდნობით, მომზადებულია აპრობირებული ტრენინგმოდულები სხვადასხვა აქტუალურ საკითხებში. ჩვენ სსსმ მოსწავლეებთან დისტანციური სწავლების კუთხითაც რამდენიმეწლიანი გამოცდილება გვაქვს. შექმნილია ელექტრონული კატალოგი და, რაც ყველაზე საინტერესოა, შინ სწავლებაზე მყოფ მოსწავლეს, რომელიც დისტანციური სწავლების ფორმას იყენებს, სმარტბორდის დახმარებით შეუძლია, თანაკლასელებთან ერთად, საგაკვეთილო პროცესში სრულყოფილად ჩართვა: დისკუსიაში მონაწილეობა, ნაშრომის გაზიარება თუ პრეზენტაციის მომზადება.

ჩვენმა სკოლამ საქართველოში პირველი გზამკვლევი შექმნა აუტისტური სპექტრის მქონე მოსწავლეთა სწავლებისათვის, რომელსაც ყველა მსურველს უფასოდ ურიგებს. ჩვენ ვიყავით ერთ-ერთი პირველთაგანები, ვინც, „საქართველოს ბანკის“ ფონდის „სიცოცხლის ხის“ საგრანტო პროგრამის ფარგლებში, აუტისტური სპექტრის მქონე მოსწავლეთა კლასი თბილისის ორ სკოლაში (№198 და №200) გახსნა.

მრავალფეროვანი გასავითარებელი რესურსი

ბავშვის მრავალფეროვან გასავითარებელ რესურსს ვიყენებთ როგორც ფუნქციური განვითარებისათვის, ასევე აკადემიური მხარდაჭერისთვის. ჩვენი სპეციალისტები სხვადასხვა უმაღლესი ფსიქიკური უნარების განვითარებისათვის აუცილებელი სამაგიდო თამაშების ადაპტირებასა და ინსტრუქციათა გამარტივებაზე მუშაობენ. ვგეგმავთ, შეიქმნას ლეგოტეკა ბიბლიოთეკა, სადაც სსსმ მოსწავლეთა მშობლებს მასტერკლასებს ჩავუტარებთ სხვადასხვა გასავითარებელი თამაშის კონკრეტულ სარგებელზე, ხოლო შემდგომ, ბიბლიოთეკის პრინციპით, გარკვეული პერიოდით, სსსმ მოსწავლის მშობელს საშუალება ექნება, სახლში იმუშაოს შვილთან შესაბამისი ინსტრუქციის გათვალისწინებით, მუშაობაზე დაკვირვების ჩანაწერის მომზადების პირობით. ეფექტურად ვიყენებთ სხვადასხვა დამხმარე საშუალებებს, რათა მაქსიმალურად გამოვავლინოთ სსსმ მოსწავლეთა პოტენციალი.

რას შედეგს მოიტანს კანონში ცვლილება

ჩვენი სკოლა აქტიურად იყო ჩართული სპეციალური მასწავლებლისთვის მასწავლებლის სტატუსის მინიჭების საკითხში, ვინაიდან სპეციალური მასწავლებელი ინკლუზიური განათლების ერთ-ერთი მთავარი რესურსია! სტატუსის ცვლილება სპეციალური მასწავლებლის მოტივაციის ზრდას და, ზოგადად, მათი პროფესიის აღიარებას მოიტანს. ჩემი აზრით, ყველა სკოლას უნდა ჰყავდეს ცალკე სპეცმასწავლებელი და ცალკე – ფსიქოლოგი. რასაკვირველია, ფსიქოლოგის სამუშაო მიზანი და ფუნქცია აბსოლუტურად განსხვავებულია სპეციალური მასწავლებლისგან. კვალიფიკაციით ფსიქოლოგს, გადამზადების შემდგომ, შეუძლია სკოლაში სპეციალური მასწავლებლის ვაკანსია დაიკავოს. თუმცა, უკეთესი იქნება, თუ მომავალში სკოლებში სპეციალური მასწავლებლების დეფიციტი აღარ იქნება და ეს ორი პროფესია ერთმანეთს გაემიჯნება.

პრაქტიკული რჩევები

როგორც სკოლის დირექტორმა, შემიძლია რამდენიმე პრაქტიკული რჩევა მივცე ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ ყველა რგოლს:

❖ თუ ატყობთ, რომ ბავშვის განვითარება სათანადოდ არ ხდება ან ვერ ამჩნევთ სსსმ მოსწავლის განვითარების პროგრესს, აუცილებლად გადააფასეთ მოსწავლე; დამატებითი ინფორმაცია მიიღეთ მშობლისგან. გახსოვდეთ, რომ მშობელი ხშირად ინფორმაციის საუკეთესო წყაროა!

❖ ნუ შეგეშინდებათ ცვლილებების! ცვლილებების განხორციელება, ხშირად, სსსმ მოსწავლესთან სწორი კომუნიკაციისა და ეფექტური სწავლების მიღწევის ერთადერთი გზაა;

❖ მასწავლებლებმა ერთად უნდა დაგეგმონ, რა კონკრეტული დახმარება შეიძლება იყოს სასარგებლო სსსმ მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში აქტიური ჩართულობისთვის. ვინ შეიძლება იყოს სსსმ მოსწავლის მხარდამჭერი, მათ შორის – წარმატებული ბავშვი თუ კიდევ ერთი მასწავლებელი, მშობელი, პერსონალი, ასისტენტი?

❖ ინკლუზიური პროცესის წარმატებით განხორციელების რეცეპტია პოზიტიური გარემო და ჰუმანური განწყობა, „სუსტი რგოლის არარსებობა“ და სასიკეთო ცვლილებების რწმენა. ინკლუზიური განათლების გზა, შესაძლებელია, ხანდახან, ხანგრძლივი და რთული აღმოჩნდეს, მაგრამ, საბოლოო ჯამში, შედეგის მისაღწევად ამ გზის გავლა ღირს.

ესაუბრა ლალი ჯელაძე

ᲡᲐᲛᲝᲓᲔᲚᲝ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘ

ღერძული სიმეტრია
გაკვეთილის გეგმა

მასწავლებელი: ///////	
საგანი: მათემატიკა	კლასი: VII
თემა: ღერძული სიმეტრია	დრო: 45წთ
მოსწავლეთა პროფილი: 10 მოსწავლე	

გაკვეთილის მიზნები:
მოსწავლემ

- ორი ტიპის ნახატის საფუძველზე უშეცდომოდ დაადგინოს ღერძულად სიმეტრიული წერტილების კანონზომიერებები;
- შეძლოს ყოველ ჯერზე მითითებული წერტილებით, ღერძულად სიმეტრიული წერტილების კოორდინატების დასახელება.

ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტი:

მათ. VII.12. მოსწავლეს შეუძლია კოორდინატთა მეთოდის ორიენტაციისათვის გამოყენება.
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ორიენტირებს რუკაზე ან საკოორდინატო სიბრტყეზე კოორდინატების გამოყენებით (მაგალითად, *ასახელებს მოცემული წერტილის კოორდინატების მიახლოებით ან ზუსტ მნიშვნელობას; პოულობს წერტილს მოცემული მთელ რიცხოვანი კოორდინატების მიხედვით*);
- ასახელებს საკოორდინატო ღერძების მიმართ მოცემული წერტილის ღერძულად სიმეტრიული წერტილის კოორდინატებს.

საჭირო წინარე ცოდნა და უნარ-ჩვევები:
მოსწავლე ორიენტირებს საკოორდინატო სიბრტყეზე; პოულობს ფიგურათა სიმეტრიული კონფიგურაციის სიმეტრიის ღერძს/ღერძებს და ასაბუთებს პასუხს (მაგალითად, *გადაკეცვით, სარკის გამოყენებით*).

შეფასება და თვითშეფასება:
შეფასება ხდება როგორც განმავითარებელი კომენტარებით, ასევე განმსაზღვრელი ქულებით.

სასწავლო მასალა და რესურსები:
კომპიუტერი, პროექტორი, ბარათები დავალებებით, ინდივიდუალური დავალებები (ქვიზი), შესასვლელი ბარათები, გასასვლელი ბარათები.

მიმდინარეობა
მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს გაკვეთილის მიზანს.

აქტივობა №1. შესასვლელი ბარათები, 5წთ, ინდივიდუალურად.
აქტივობის მიზანი:
დადგინდეს მოსწავლეთა მზაობა განსახილველ საკითხთან მიმართებით.
აქტივობის აღწერა:
მასწავლებელი ურიგებს მოსწავლეებს ბარათებს და სთხოვს შეავსონ.

აქტივობა №2. პრეზენტაცია, 10წთ, მთელ კლასთან ერთად.
აქტივობის მიზანი:
(წინარე ცოდნის გააქტიურება) მოსწავლეებმა ნახატების საფუძველზე იმსჯელონ სიმეტრიისა და ასიმეტრიის შესახებ. დაასაბუთონ საკუთარი აზრი, ნახატში დეტალების განლაგების საფუძველზე.
აქტივობის აღწერა:
აქტივობა იწყება პრეზენტაციით (ნახატები – როგორც სიმეტრიული, ასევე ასიმეტრიული). მოსწავლეები, მასწავლებელთან ერთად, აანალიზებენ ნახატებს სიმეტრიულობისა და ასიმეტრიულობის კუთხით.

აქტივობა №3. დაუსრულებელი ნახატი, 20წთ, ჯგუფებში.
აქტივობის მიზანი:
დაუსრულებელი ნახატი დაასრულონ ღერძული პრინციპების გათვალისწინებით;
დაასახელონ, მინიმუმ, 5 წერტილი და მათი ანასახი წერტილები შესაბამისი ღერძის მიმართ;
დაადგინონ ღერძული სიმეტრიის კანონზომიერება OX და OY ღერძების მიმართ წერტილების ასახვისას.
აქტივობის აღწერა:
მოსწავლეებს ჯგუფებში ეძლევათ დავალება – „დაუსრულებელი ნახატი“, ორ ვარიანტად.
პირველზე მოცემულია ვერტიკალური ღერძი, მარცხენა მხარეს – ბაღის ერთი ნაწილი;
მეორეზე მოცემულია ჰორიზონტალური ღერძი, ზედა ნაწილზე – ტბის სანაპირო სახლი;
მასწავლებელი აძლევს ინსტრუქციას, დაასრულონ ნახატი ისე, რომ სიმეტრიული კომპოზიცია გამოვიდეს.
დაკვირვებისა და ანალიზის საფუძველზე, მათ უნდა აღმოაჩინონ ღერძული სიმეტრიის კანონზომიერება, აბსცისასა და ორდინატას მიხედვით.
იმავე ნამუშევრების მაგალითზე, კლასი განიხილავს ღერძული სიმეტრიის კანონზომიერებებს საკოორდინატო სიბრტყეზე, აბსცისასთან და ორდინატასთან მიმართებით. წერენ ფორმულებს.

აქტივობა №4. „ქვიზი“, 10 წთ, ინდივიდუალურად.
აქტივობის მიზანი:
გამოიყენონ დადგენილი კანონზომიერებები და 6 შეკითხვიდან პასუხი გასცენ, არანაკლებ, 4 შეკითხვას.

Առանցքային համաչափություն
Դասի պլան

Ուսուցիչ /////////	
Առարկա՝ մաթեմատիկա	Դասարան VII
Թեմա՝ Առանցքային համաչափություն	Ժամանակը՝ 45 րոպե
Աշակերտների պրոֆիլը՝ 10 աշակերտ հկկու աշակերտ չկա	

Դասի նպատակը՝

Աշակերտը

- Երկու տիպի նկարների հիման վրա կարող է անսխալ որոշել առանցքային համաչափ կետերի օրինաչափությունը:
- Կարող է մատնանշված կետերով ամեն անգամ անվանել առանցքային համաչափ կետերի կոորդինատները:

Ազգային ուսումնական պլանի չափորոշիչ
Մաթ. VII.12. Աշակերտը կարողանում է, կողմնորոշվելու համար կիրառել կոորդինատների մեթոդը:
Արդյունքն ակնառու է, եթե աշակերտը.

- Քարտեզին կամ կոորդինատային հարթության վրա կողմնորոշվում է՝ կիրառելով կոորդինատները (օրինակ,անվանում է տրված կետի կոորդինատների մոտավոր կամ ստույգ արժեքը, ըստ տրված ամբող թվերով կոորդինատների, գտնում է կետը):
- Անվանում է կոորդինատային առանցքների նկատմամբ տրված կետի առանցքով համաչափ կետի
կոորդինատները:

Անհրաժեշտ նախնական գիտելիք և կարողություն
Աշակերտը կողմնորոշվում է կոորդինատային հարթության վրա՝ գտնում է մարմինների կոնֆիգուրացիայի համաչափության առանցքը/առանցքները, հիմնավորում է պատասխանը (օրինակ ծալելով կամ հայելու օգնությամբ):

Գնահատում և ինքնագնահատում
Գնահատումը տեղի կունենա ինչպես զարգացնող մեկնաբանություններով, այնպես էլ որոշիչ բալերով:

Ուսումնական նյութերը և ռեսուրսները
Համակարգիչ, պրոեքտոր, քարտեր առաջադրանքներով, անհատական առաջադրանքներ (քվիզ), մուտքի քարտեր ,ելքի քարտեր:

Ընթացքը
Ուսուցիչը ծանոթացնում է աշակերտներին դասի նպատակին

Ակտիվություն №1 Մուտքի քարտեր 5րոպե ,անհատական:

Ակտիվության նպատակը՝ Որոշել աշակերտների պատրաստվածության աստիճանը քննարկվելիք հարցի վերաբերյալ
Ակտիվության նկարագիրը՝Ուսուցիչը բաժանում է աշակերտներին քարտեր և դիմում նրանց ,որ լրացնեն այն

Ակտիվություն №2 Շնորհանդես 10րոպե, ամբողջ դասարանի հետ:

Ակտիվության նպատակը՝ (նախնական գիտելիքի ակտիվացում): Աշակերտները նկարների հիման վրա կարողանան դատողություն անել համաչափության և անհամաչափության վերաբերյալ ,հիմնավորեն իրենց կարծիքը ,նկարում տրված պատկերների դասավորության հիման վրա :
Ակտիվության նկարագիրը՝
Ակտիվությունը սկսվում է շնորհանդեսով (նկարներ ,ինչպես համաչափ, այնպես էլ անհամաչափ): Աշակերտները ուսուցչի հետ միասին վերլուծում են նկարները համաչափության և անհամաչափության տեսանկյունից:

Ակտիվություն №3: Անավարտ նկար՝ 20րոպե խմբերում:

Ակտիվության նպատակը՝
Ավարտել անավարտ նկարը հաշվի առնելով առանցքային սկզբունքը :
Անվանել մինիմում 5 կետ և նրանց արտապատկերումը համապատասխան առանցքի նկատմամբ:
Կետերը պատկերելիս որոշել առանցքային համաչափության օրինաչափությունը OX և OY առանցքների նկատմամբ:

Ակտիվության նկարագիրը՝
Աշակերտներին խմբերում տրվում է հանձնարարություն ,<<անավարտ նկար>>-ի երկու տարբերակ:Առաջինում տրված է ուղղահայաց առանցք՝ ձախ կողմում ծառ:Երկրորդում տրված է հորիզոնական առանցք՝ վերին մասում տուն լճափին:
Ուսուցիչը հրահանգ է տալիս ավարտել նկարը այնպես ,որ ստացվի սիմետրիկ համադրություն : Դիտարկման և վերլուծության հիման վրա նրանք պետք է գտնեն առանցքային համաչափության օրինաչափությունը ըստ աբցիսների և օրդինատների:
Նույն աշխատանքի օրինակով դասարանը քննարկում է առանցքային համաչափության օրինաչափությունը կոորդինատային հարթության աբցիսների և օրդինատների նկատմամբ :Գրում են բանաձևը :

Ակտիվություն №4: „Քվիզ“՝ 10 րոպե, անհատական

Ակտիվության նպատակը՝ Կիրառել սահմանված օրինաչափությունը և 6 հարցից պատասխանել առնվազն 4 հարցի:

საშოდელო გაკვეთილი

აქტივობის აღწერა:

მოსწავლეებს მიეცემათ გამოკითხვის ბარათები ინდივიდუალური მუშაობისთვის.

მასწავლებელი ეკრანზე გამოაჩენს სწორ პასუხებს და მოსწავლეები, წყვილებში, თავად ასწორებენ ნამუშევარს.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შეაჯამონ გაკვეთილი.

აფასებს მოსწავლეებს განმსაზღვრელი ქულებით, ფლიპჩარტზე გამოაჩენს საშინაო დავალებას და შესავსებად მათ გასასვლელ ბარათებს ურიგებს.

შეფასების რუბრიკა №1

შეფასების კრიტერიუმები	არადამაკმ.	დამაკმ.	კარგი	ძალიან კარგი
მსჯელობის დროს სწორი ფორმით იყენებს ტერმინებს.				
ასახელებს წარმოსახვითი სიმეტრიის ღერძის მდებარეობას.				
განარჩევს ერთმანეთისაგან სიმეტრიულობას და ასიმეტრიულობას.				

გასვლითი ბარათები

დაწერეთ ორი მნიშვნელოვანი რამ, რაც დღეს ისწავლეთ.	დაწერეთ ერთი საკითხი, რომელიც დარჩა ბუნდოვანი.

ნონა აროსიანი, სსიპ სოფ. წერეთლის საჯარო სკოლა

Ակտիվության նկարագիրը

Անհատական աշխատանքի համար աշակերտներին տրվում է հարցաշար։Աշխատանքն ավարտելուց հետո ուսուցիչը էկրանի վրա բացում է ճիշտ պատասխանները, աշակերտները զույգերում ստուգում են իրենց աշխատանքները։

Ուսուցիչը դիմում է աշակերտներին ,որ ընդհանրացնեն դասը։

Ուսուցիչը գնահատում է աշակերտներին որոշիչ գնահատականով ,բացում ֆլիպչարտի վրա տնային հանձնարարությունը և բաժանում ելքի քարտերը։

Գնահատման խորագիր №1

Գնահատման չափանիշները	Անբավարար	Բավարար	Լավ	Գերազանց
Դատողություն անելիս ճիշտ է կիրառում տերմինները				
Անվանում է երևակայական համաչափության առանցքի դիրքը				
Միմյանցից տարբերում է ամաչափությունը և ամաչափությունը				

Ելքի քարտեր

Այսօրվա սովորածից գրել երկու կարևոր հարց	Գրել անորոշ մնացած մի հարց

Նոնա Արոսյան

ახალი ამბები

ეროვნულ და საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებში გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ, **ირინე აბულაძემ** ეროვნულ და საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებში გამარჯვებული მოსწავლეები დააჯილდოვა, მათ მოპოვებული გამარჯვებებისთვის სხვადასხვა პრიზები და ფულადი ჯილდოები გადაეცათ.

ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა ყოველწლიურად ტარდება, მასში მონაწილეობის საშუალება აქვთ საჯარო და კერძო სკოლების X-XII კლასების მოსწავლეებს.

2017-2018 სასწავლო წელს ოლიმპიადა შემდეგ საგნებში ჩატარდა:

- ❖ ქართული ენა და ლიტერატურა (ქართულენოვანი და არაქართულენოვანი მოსწავლეებისთვის);
- ❖ მათემატიკა;
- ❖ ფიზიკა;
- ❖ ქიმია;
- ❖ ბიოლოგია;
- ❖ გეოგრაფია;
- ❖ ისტორია;
- ❖ უცხოური ენები (ინგლისური, გერმანული, რუსული).

ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ მოსწავლეებს ოლიმპიადაში მშობლიურ ენაზე (სომხურ, აზერბაიჯანულ ან რუსულ) მონაწილეობის შესაძლებლობა ჰქონდათ. ასევე, მონაწილეობა შეეძლოთ უსინათლო მოსწავლეებსაც (ბრაილის შრიფტის გამოყენებით). ოლიმპიადის ჩატარება, რომელიც 3 ეტაპს მოიცავდა – სასკოლო, რეგიონულ და დასკვნით ტურებს, შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა უზრუნველყო.

გამოვლინდა 121 გამარჯვებული მოსწავლე:

- ❖ I ადგილი – 14 მოსწავლე;
- ❖ II ადგილი – 14 მოსწავლე;
- ❖ III ადგილი – 16 მოსწავლე;
- ❖ IV-X ადგილები – 77 მოსწავლე.

გამარჯვებულები ჯილდოვდებიან, შესაბამისად – 1000, 700, 500 და 50 ლარის ღირებულების კომპიუტერული ტექნიკისა და აქსესუარების სასაჩუქრე ბარათებით და დიპლომებით.

2018 წელს, ინფორმატიკის ეროვნული ოლიმპიადა 2 ეტაპად, სამ ასაკობრივ კატეგორიაში ჩატარდა. ოლიმპიადა საკუთარი სახსრებით ჩაატარა „საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლებისა და ინფორმატიკის ოლიმპიადების მხარდამჭერმა ასოციაციამ“. ინფორმატიკა, როგორც საგანი, სკოლებში არ ისწავლება, თუმცა ოლიმპიადაში მონაწილეობა საჯარო და კერძო სკოლების VII-XII კლასების 500-მდე მოსწავლემ მიიღო.

კონკურსის შედეგად გამოვლინდა 27 გამარჯვებული:

- ❖ I ადგილი – 3 მოსწავლე;
- ❖ II ადგილი – 3 მოსწავლე;
- ❖ III ადგილი – 3 მოსწავლე;
- ❖ IV-X ადგილები – 18 მოსწავლე.

I, II, III ადგილებზე გასული მოსწავლეები დაჯილდოვდნენ, შესაბამისად – 1000, 700, 500 და 50 ლარის ღირებულების კომპიუტერული ტექნიკისა და აქსესუარების სასაჩუქრე ბარათებით და დიპლომებით.

ეროვნულ ოლიმპიადებში მონაწილე სკოლებიდან, 36 სხვადასხვა ნომინაციაში, 29 სკოლა დაჯილდოვდა.

ფიზიკის, მათემატიკის, ინფორმატიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის საგნებში ეროვნული ოლიმპიადების წარმატებული მოსწავლეებისგან, საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებში მონაწილოების მისაღებად, შეარჩიეს ეროვნული ნაკრები გუნდების წევრობის კანდიდატები. მათი შემდგომი, დამატებითი, მომზადება და საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილეობა სამინისტრომ სრულად უზრუნველყო.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო მსოფლიოს ყველაზე მასშტაბურ და პრესტიჟულ საერთაშორისო ოლიმპიადებში საქართველოს ნაკრები გუნდების მონაწილეობას, „წარმატებული მოსწავლეების წახალისების პროგრამის“ ფარგლებში, ყოველწლიურად აფინანსებს. წელს 21 ქართველი მოსწავლე მონაწილეობდა საერთაშორისო ოლიმპიადებში:

- ❖ მათემატიკაში (IMO);
- ❖ ფიზიკაში (IPHO);
- ❖ ინფორმატიკაში (IOI);
- ❖ ბიოლოგიაში (IBO);
- ❖ ქიმიაში (ICHO).

საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილეთაგან ორმა მოსწავლემ ოქროს მედალი დაიმსახურა, ორმა – ვერცხლის და ათმა – ბრინჯაოს, ხოლო ოთხმა მოსწავლემ საპატიო სიგელი მოიპოვა.

ოქროს მედლის მფლობელი 3000 ლარით დაჯილდოვდა, ვერცხლის მედლის მფლობელი – 2000 ლარით, ხოლო ბრინჯაოს მედლის მფლობელი – 1000 ლარით.

აღსანიშნავია, რომ ბოლო 2 წლის განმავლობაში, საქართველოს ნაკრები გუნდების წევრებს, ისეთ საერთაშორისო ოლიმპიადებში, რომლებშიც 100-ზე მეტი ქვეყანა მონაწილეობს, ჯამურად, 3 ოქროს, 6 ვერცხლის, 19 ბრინჯაოს მედალი და ექვსი საპატიო სიგელი აქვთ მოპოვებული.

სასკოლო აქტივობა

სასწავლო-შემოქმედებითი პროექტი „მეგობარო, ხელი გამომიწოდე“

2018 წლის 24 ოქტომბერს, სკოლა-ლიცეუმ „ცოდნაში“, შედგა სასწავლო-შემოქმედებითი პროექტის „მეგობარო, ხელი გამომიწოდე“ დასკვნითი ეტაპი (სკოლის დირექტორი – **ნაზი ნადირაძე**, პროექტის იდეის ავტორი და კოორდინატორი – ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **დარეჯან ცხომარია**). პროექტი თავიდანვე ორ ეტაპად იყო ჩაფიქრებული და მიზნად ისახავდა არაქართულენოვან მოზარდებთან ურთიერთობას, ერთმანეთის ტრადიციებისა და კულტურის გაცნობას, საგანმანათლებლო პროცესში ჩართვას შთაბეჭდილებისა და ცოდნის გაზიარების მიზნით, ასევე მოზარდებს შორის საერთო ინტერესების გამოკვეთას და დამეგობრების პერსპექტივას. მიზნობრივი ჯგუფი – IX-XII კლასების მოსწავლეები.

პროექტში აქტიურად ჩაებნენ შაუმიანის №1 და №2 საჯარო სკოლები, დირექტორებმა და მასწავლებლებმა ხელი შეუწყვეს მის წარმატებით განხორციელებას. საწყის ეტაპზე, სოციალურ ქსელში, შეიქმნა ჯგუფი იმავე სახელწოდებით და სამივე სკოლის მოსწავლეებმა გაიცნეს ერთმანეთი, გამოიკვეთა საერთო ინტერესები და მისწრაფებები. საერთო აქტივობების მიზნით, პროექტის ორგანიზატორებმა დაგეგმეს სტუმრობა შაუმიანის სკოლებში, სპორტულ ღონისძიებაში „მხიარული სტარტები“ მონაწილეობის მისაღებად. მართლაც, 10 ოქტომბერს, სამივე სკოლის დირექტორი, მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები შეხვდნენ ერთმანეთს შაუმიანის №2 საჯარო სკოლაში (დირექტორი – **ანაიდა რესტევანიანი**, მასწავლებლები – **თეონა ცაგარეიშვილი**, **ნათია ტყემალაძე**, **რიმა აკოფიანი**, **თაგუშ ტანიანი**; №1 საჯარო სკოლის დირექტორი – **არტუშ ურუმიანი**, მასწავლებლები – **ნინო ზაქარიაძე**, **ანჟელა გასპარიანი**). მასპინძლებს, ქართულ და სომხურ ენაზე, მიესალმა სკოლა-ლიცეუმ „ცოდნას“ მეთერთმეტეკლასელი **გიორგი ფანჩვიძე**. გაიჟღერა საქართველოს ჰიმნმა და გაიმართა მცირე შემოქმედებითი პრეზენტაცია, შემდეგ შერეული გუნდები მოემზადნენ შეჯიბრისთვის „მხიარული სტარტები“. აქტივობები იმდენად სახალისო და დინამიური იყო, გულშემატკივრების შეძახილები ერთი წუთითაც არ შემწყდარა. აქტივობებში არა მარტო ბავშვები, მასწავლებლებიც ჩაებნენ – „ცოდნელი“ **ზურაბ მათიაშვილი** და პირველსკოლელი **ნათია ტყემალაძე**. ამან კიდევ უფრო გაახალისა მონაწილეები. საბოლოოდ, გაიმარჯვა მეგობრობამ და მთავარი პრიზი სკოლა-ლიცეუმ „ცოდნას“ გადაეცა, როგორც სიმბოლო მომავალი ურთიერთობებისა. მასპინძლები ტრადიციული ტკბილეულით გაუმასპინძლდნენ სტუმრებს და იქვე დაიგეგმა საპასუხო ვიზიტი თბილისში. შეხვედრის დასასრულს სკოლის ეზოში გაუშვეს ფრანები, გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები.

სტუმრების მისაღებად სკოლა-ლიცეუმი „ცოდნა“ დიდი პასუხისმგებლობით და მონდომებით მოემზადა. აქტიურობდნენ მშობლებიც – **აიდა ფანჩვიძე**, **აზა ბუნტური**, **ნანა დიასამიძე**, **ბელა თოდუა**. დღის პროგრამა აქტივობებით და საგანმანათლებლო ღონისძიებებით იყო დატვირთული: გაკვეთილებზე დასწრება – ინგლისური ენისა და საბუნებისმეტყველო საგნებში (მასწავლებლები – **მზია ლომიძე**, **რუსუდან ფარეხელაშვილი** და **ბელა თოდუა**); ექსკურსია ადგილობრივი წარმოების ცქრიალა ღვინის საწარმო „ბაგრატიონში“; მეგობრული მატჩი ფრენბურთში გოგონებსა და ვაჟებს შორის, მასწავლებლების მონაწილეობით; სახალისო ვიქტორინა „რა? სად? როდის?“; სასკოლო თვითშემოქმედების კონცერტი.

შაუმიანის №1და №2 სკოლების დირექტორები, მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები დილიდანვე ესტუმრნენ სკოლა-ლიცეუმ „ცოდნას“. მოსწავლეებმა გაიხარეს ერთმანეთის ნახვით, მათი შეხვედრა ძალიან ემოციური გამოდგა.

სკოლის დირექტორმა, ნაზი ნადირაძემ სტუმრებს სკოლა დაათვალიერებინა, შემდეგ დაესწრნენ გაკვეთილ-ექსპერიმენტებს ქიმია-ბიოლოგიაში (მასწავლებელი – რუსუდან ფარეხელაშვილი), ფიზიკაში (მასწავლებელი – ბელა თოდუა) და ინგლისურში (მასწავლებელი – მზია ლომიძე). სტუმრები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ, განსაკუთრებით კმაყოფილები იყვნენ ბავშვები, რადგან მათ თავად მიიღეს მონაწილეობა ექსპერიმენტებში. ინგლისური ენის გაკვეთილი დატვირთული იყო სხვადასხვა სტრატეგიით და თვალსაჩინო მასალით.

საინტერესო გამოდგა სტუმრებისთვის ცქრიალა ღვინის საწარმო „ბაგრატიონში“ სტუმრობა. ადგილობრივმა გიდმა დაწვრილებით გააცნო მათ საწარმოს და ღვინის ისტორია, დაათვალიერებინა ლაბორატორია და უნიკალური მარანი, სადაც ინახება ათეულობით ბოთლი ცქრიალა ღვინო „ბაგრატიონი“, გამოშვების წლების მიხედვით.

ჯანსაღი ცხოვრების წესს არ უღალატა სკოლა-ლიცეუმმა და ფრენბურთის მატჩში, მოსწავლეებთან ერთად, მასწავლებლებიც ჩაერთვნენ. ანგარიში – ფრე, ისევ მეგობრობამ გაიმარჯვა. სკოლის სააქტო დარბაზში კი ემზადებოდნენ ვიქტორინის „რა? სად? როდის?“ დაწყებისთვის. შერეულმა გუნდებმა ადგილები დაიკავეს და თამაში დაიწყო, ერთმანეთს ცვლიდა საინტერესო და მხიარული, სააზროვნო და ლოგიკური, რთული და მარტივი კითხვები. კომპეტენტურმა ჟიურიმ (ნაზი ნადირაძე, არტუშ ურუმიანი, ანაიდა რესტევანიანი) გამარჯვებული გუნდი გამოავლინა, თუმცა, სამახსოვრო პრიზები, საზრიანობის და ინტელექტის სიმბოლო – ფაიფურის ბუ, საუკეთესო და დაძაბული თამაშისთვის, ორივე გუნდს გადაეცა. შეხვედრა დასრულდა კონცერტით, სამივე სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით. **ანა არუთინიანმა** (შაუმიანის №2 საჯარო სკოლა) რევაზ ლაღიძის უკვდავი სიმღერა „თბილისო“ შეასრულა, შემდეგ – ცეკვა „რაჭული“, ასევე სტუმრების შესრულებით. მოსწავლეებმა სხვადასხვა მუსიკალური ნომერი წარმოადგინეს, იყო აპლოდისმენტები და მოწონების შეძახილები. ქართული ტრადიციული ტკბილეულის დაგემოვნების შემდეგ, დირექტორებმა პროექტის შედეგები შეაჯამეს და იმედი გამოთქვეს, რომ სამივე სკოლის მოსწავლეების მეგობრობა გაგრძელდება ნაზი ნადირაძემ სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები გადასცა სტუმრებს. შეხვედრა დასრულდა „ფერთა ფესტივალით“.

ნაზი ნადირაძე, სკოლა-ლიცეუმ „ცოდნას“ დირექტორი: *„სასწავლო-შემოქმედებითი პროექტი „მეგობარო, ხელი გამომიწოდე“, შინაარსობრივი დატვირთვით , ვფიქრობ, დროული და აქტუალურია. ჩვენი მოსწავლეები – ეს არის ახალი თაობა, ჩვენი ქვეყნის მომავალი. მათ ერთად უნდა გაამყარონ უკვე არსებული დემოკრატიული საზოგადოება, დაიპყრონ მეცნიერების თუ ხელოვნების ახალი მწვერვალები. ჩვენ კი ხელს შევუწყობთ ყველა მათ ინიციატივას. ერთიანი საქართველოს შვილებმა უნდა გააგრძელონ ის ათასწლოვანი მეგობრობის გზა, რაც ჩვენს ერებს აკავშირებს. მოხარული ვარ, რომ პროექტმა შედეგს მიაღწია და ჩვენს მოსწავლეებს შორის გაიდო მეგობრობის ურყევი ხიდი. შაუმიანში სტუმრობისას სასიამოვნო მოსასმენი იყო მე-11 კლასის მოსწავლის, **ედიკ კამალიანის** მისასალმებელი სიტყვა ქართულ ენაზე. საუცხოოდ გაფორმებული სკოლის შენობა და ორგანიზებული სპორტული აქტივობა „მხიარული სტარტები“, სადაც არ იყო ჩვენ და ისინი, იგრძნობოდა საერთო მუხტი და გულწრფელი ერთიანობა. პროექტმა მიზანს მიაღწია, რადგან მეგობრობა გრძელდება. ცაში გაშვებული ფრანებიც უსასრულო მეგობრობის სიმბოლოდ იქცა.“*

ელიზაბეტ სასირელი, სკოლა-ლიცეუმ „ცოდნას“ მოსწავლე: *„ერთი სული მქონდა, როდის შევხვდებოდი ჩემს ახალ მეგობრებს, როგორ დამხვდებოდნენ, მოვეწონებოდი თუ არა – ასეთ აზრებს თავს ვერ ვაღწევდი, მაგრამ იმით ვმშვიდდებოდი, რომ ვიცოდი, შეხვედრა აუცილებლად შედგებოდა. და აი, დასრულდა ჩვენი მოგზაურობა და ჩავედით შაუმიანში. იმდენად თბილად დაგვხვდნენ, თითქოს დიდი ხნის ნაცნობობა გვაკავშირებდა. თავის წეს-ჩვეულებებზე გვიამბეს, ვიმხიარულეთ. მივხვდი, რომ მათში დიდი სიყვარული და სითბო იყო. თავი მაგრძნობინეს კომფორტულად და ბედნიერი ვარ, რომ ასეთი კარგი მეგობრები მყავს.“*

ლილიკო ერაძე, სკოლა-ლიცეუმ „ცოდნას“ მოსწავლე: *„შაუმიანში ჩასვლისას მაინტერესებდა, როგორ დაგვხვდებოდნენ. ამდენი ბედნიერი სახის დანახვამ თავისთავად მეც გამაბედნიერა. სულ მალე ერთმანეთი ახლოს გავიცანით, დავუახლოვდით, ერთად ვითამაშეთ და ვიმხიარულეთ, შემდეგ ტრადიციული ჰალვაც დავაგემოვნეთ. სამწუხაროდ, დრო მალე გავიდა და ჩვენი წამოსვლის დრო დადგა. მისვლისას ბედნიერი სახეები დამშვიდობების სევდამ შეცვალა, მაგრამ გავიგეთ, რომ სულ მალე ისინი ჩვენ გვესტუმრებოდნენ. დრო კვლავაც ლოდინში გავიდა და ჩამოვიდნენ. გაგვაბედნიერეს და კვლავაც დაგვტოვეს. თუმცა მეგობრობა ამით არ დამთავრებულა. ჩვენ ერთმანეთს მეგობრობის ხელი გავუწოდეთ*

სტუმრობა „ბაგრატიონში“

სასკოლო აქტივობა

და უკან არასოდეს გამოვწევთ.“

ელენე ბესიაშვილი, სკოლა-ლიცეუმ „ცოდნას“ მოსწავლე: *„ეს იყო შეუდარებელი რამ. საინტერესო და ემოციური შეხვედრები. ბევრი გავიგეთ ახალი მეგობრების ტრადიციების შესახებ, ჩვენიც გავაცანით. ჩავატარეთ უამრავი საგანმანათლებლო თუ სპორტული აქტივობები, ერთად მივიღეთ მონაწილეობა ცდა-ექსპერიმენტებსა თუ თვითშემოქმედებით კონცერტში. უზომოდ კმაყოფილი ვარ ამ პროექტში მონაწილეობით.“*

ანი ბუნტური, სკოლა-ლიცეუმ „ცოდნას“ მოსწავლე: *„შაუმიანიდან დიდი შთაბეჭდილებით დავბრუნდი. ვიმედოვნებ, ჩვენთან სტუმრობამაც არ ჩაიარა უკვალოდ და საინტერესო დღე ვაჩუქეთ სტუმრებს.“*

თეონა ცაგარეიშვილი, კონსულტანტ-მასწავლებელი: *„მეგობარო, ხელი გამომიწოდე“ – პროექტი, რომელმაც შაუმიანის №1 და №2 საჯარო სკოლები და სკოლა-ლიცეუმი „ცოდნა“ დაამეგობრა, წარმატებით განხორციელდა. პროექტმა ხელი შეუწყო ეთნიკურად სომეხი მოსწავლეების ინტეგრირებას ქართულ გარემოში და ქართველ ბავშვებთან დამეგობრებას. პროექტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები ბავშვებისთვის საინტერესო და სახალისო იყო. 2018 წლის 10 ოქტომბერს სკოლა-ლიცეუმი „ცოდნა“ შაუმიანს ეწვია. „მხიარულმა სტარტებმა“ ხალისიანი განწყობა შექმნა ბავშვებში. ჩვენს ძვირფას სტუმრებს სომხური ტრადიციული ტკბილეულით გავუმასპინძლდით. 24 ოქტომბერს კი, სკოლა-ლიცეუმ „ცოდნაში“ შედგა საპასუხო ვიზიტი. მრავალფეროვანი აქტივობებით დატვირთულმა დღემ ბავშვებში წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. მასპინძელი სკოლის დახვედრამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. შაუმიანის №1 და №2 სკოლების სახელით მინდა, მადლობა გადავუხადო სკოლა-ლიცეუმ „ცოდნას“ დირექტორს, ქ-ნ ნაზი ნადირაძეს და პროექტის ორგანიზატორს, ქ-ნ დარეჯან ცხომარიას.“*

ნინო ზაქარიაძე, შაუმიანის №1 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი: *„პროექტი წარმატებით განვახორციელეთ. მიღებულმა შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. საოცრად ბედნიერი ვიყავი, როდესაც ვხედავდი ჩემი მოსწავლეების ბედნიერ სახეებს. ეს მეგობრობა მომავალშიც გაგრძელდება. დიდი მადლობა მეგობარი სკოლების დირექტორებს, მასწავლებლებს, პროექტის ყველა მონაწილეს. ერთობლივი ძალისხმევით შედეგი მიღწეულია.“*

არტუშ ურუმიანი, შაუმიანის №1 საჯარო სკოლის დირექტორი: *„ასეთი პროექტები ძალიან მნიშვნელოვანია არაქართულენოვანი სკოლებისთვის. პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები ხელს შეუწყობს ჩვენი მოსწავლეების ინტეგრაციას ქართულ საზოგადოებასთან. მე ძალიან კმაყოფილი ვარ. დაგეგმილი ღონისძიებები საინტერესო და კარგად ორგანიზებული იყო. დიდი მადლობა პროექტის ორგანიზატორებს, მეგობარი სკოლა-ლიცეუმ „ცოდნას“ დირექტორს, ქ-ნ ნაზი ნადირაძეს არაჩვეულებრივი მასპინძლობისთვის.“*

ანაიდა რესტევანიანი, შაუმიანის №2 საჯარო სკოლის დირექტორი: *„სიურპრიზებით სავსე იყო თბილისის სკოლა-ლიცეუმ „ცოდნაში“ ჩვენი ვიზიტი. დავესწარით საინტერესო გაკვეთილებს. პროექტის კულმინაცია იყო საზეიმო კონცერტი და ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“. სკოლა-ლიცეუმის დირექციამ, ქ-ნ ნაზი ნადირაძის ხელმძღვანელობით, საოცარი მასპინძლობა გაგვიწია, აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ ბავშვები. იმედი მაქვს, რომ ჩვენს სკოლებს შორის მეგობრობა დიდხანს გაგრძელდება.“*

ედიკ კამალიანი, შაუმიანის №2 საჯარო სკოლა: *„24 ოქტომბერს, პროექტის ფარგლებში ვესტუმრეთ სკოლა-ლიცეუმს „ცოდნა“. დავესწარით გაკვეთილებს, ფიზიკისა და ქიმიის ცდებს. განსაკუთრებით მომეწონა ის ცდა, რომელიც მე ჩავატარე. ვითამაშეთ საინტერესო თამაში „რა? სად? როდის?“. მართალია, ერთი ქულით დამარცხდა ჩემი გუნდი, მაგრამ ძალიან სასიამოვნო აღმოჩნდა ახალგაცნობილ ბავშვებთან ურთიერთობა. ბოლოს იყო კონცერტი, რომლის წამყვანიც მე ვიყავი, მასპინძელი სკოლის მოსწავლესთან ერთად. ახალი მეგობრები ყველანაირად ცდილობდნენ, ეს დღე ჩვენთვის სასიამოვნო და დაუვიწყარი ყოფილიყო და ასეც არის. ამ მეგობრობას აუცილებლად გავაგრძელებ.“*

ანი ადამიანი, ლიანა სიმონიანი, შაუმიანის №1 საჯარო სკოლა: *„ძალიან გვიხარია, მონაწილეობა რომ მივიღეთ პროექტში „მეგობარო, ხელი გამომიწოდე“. ეს იყო საინტერესო და მხიარული დღე. განსაკუთრებით მომეწონა „მხიარული სტარტები“ და „ფერების ფესტივალი“. შევიძინეთ ქართველი მეგობრები. დიდი მადლობა ყველას.“*

ანჟელა აკოფიანი, შაუმიანის №1 საჯარო სკოლის ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებელი: *„ეს პროექტი ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო, დავუმეგობრდი ქართველ მასწავლებლებს. მათთან ურთიერთობა დამეხმარება პროფესიულ განვითარებაში. ვისურვებდი, რომ მომავალშიც განხორციელდეს ბევრი მსგავსი პროექტი. დიდი მადლობა ორგანიზატორებს, დირექტორებს, მშობლებს და მოსწავლეებს. თქვენთან ერთად გატარებული დღეები ჩემთვის იქნება დაუვიწყარი.“*

მილენა ადამიანი, რუზანა წატურიანი, შაუმიანის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეები: *„გავიცანით ქართველი ბავშვები, ჩვენი თანატოლები. ისინი უკვე ჩვენი მეგობრები არიან და იმედი გვაქვს, კიდევ შევხვდებით ერთმანეთს.“*

დარეჯან ცხომარია
სკოლა-ლიცეუმ „ცოდნას“ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, პროექტის კოორდინატორი

ახალი ამბები

პროფესიული განათლების კვირეული კონფერენციით გაიხსნა

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა, **მიხეილ ბატიაშვილმა**, ამერიკის ელჩის მოვალეობის შემსრულებელ **ელიზაბეტ რუდთან** და „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს“ აღმასრულებელ დირექტორთან, **მაგდა მაღრაძესთან** ერთად, ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია „ინვესტირება ადამიანურ კაპიტალში“ გახსნა და დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა. კონფერენცია, რომელიც პროფესიული განათლების კვირეულის ნაწილს წარმოადგენს, ათასწლეულის გამოწვევის ფონდის პროექტის „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის“ ფარგლებში განხორციელდა.

კონფერენციის მომხსენებლები იყვნენ: ბრიტანეთის ავიახაზების (British Airways) განათლების მიმართულებით აღმასრულებელი დირექტორი **ნაიჯელ ჯერემი** და აშშ-ს კორპორაცია „ინტელის“ (Intel) გლობალური განათლების სექტორის გენერალური დირექტორი **ბრაიან გონსალესი**. გამომსვლელებმა თავიანთი კომპანიების გამოცდილება განიხილეს, ადამიანურ კაპიტალში ინვესტირების, ახალი კადრების მომზადებისა და განვითარების და საგანმანათლებლო სექტორთან თანამშრომლობის შესახებ ისაუბრეს.

მიხეილ ბატიაშვილმა, პროფესიული განათლების კვირეულის მნიშვნელობაზე საუბრისას, აღნიშნა, რომ ეს ის პლატფორმაა, რომელიც საშუალებას გვაძლევს, გავიზიაროთ საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება და მიღწევები პროფესიულ განათლებაში, გავიცნოთ არსებული სიახლეები, ახალი პროგრამები, და ასევე, შევაფასოთ ამ მიმართულებით შესრულებული სამუშაო. თავად კონფერენციის თემა – „ინვესტირება ადამიანურ კაპიტალში“ – საუკეთესოდ ასახავს საქართველოს მთავრობის ხედვას ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად, რადგან საქართველოს მთავრობა იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ ეკონომიკური განვითარება ძლიერი, მოდერნიზებული საგანმანათლებლო სისტემის შექმნითაა შესაძლებელი. სწორედ ამიტომ, აუცილებელია ინოვაციური მიდგომა, როგორ გაიზარდოს დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობა პროფესიულ განათლებაში, რა გზებით მოხდეს საჯარო და კერძო პარტნიორობის წახალისება და, ზოგადად, როგორ შევუწყოთ ხელი როგორც კერძო, ისე სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებს, თანამედროვე გამოწვევების შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შექმნაში.

„განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ კვირეულის ფარგლებში საზოგადოება იმ ახალ პროგრამებს გაეცნობა, რომელიც საქართველოს მთავრობის, ბიზნესის და ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის ერთობლივი ძალისხმევით შეიქმნა. ეს პროგრამები შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად დაიგეგმა და მათი არსებობა საქართველოში წინგადადგმული ნაბიჯია,“ – განაცხადა მინისტრმა და ხაზი გაუსვა ამერიკელი პარტნიორების თანადგომას. ისინი საქართველოში ხედავენ იმ პოტენციალსა და რესურსს, რომელიც ქვეყანას წამყვანი ეკონომიკის მქონე ქვეყნების რიგებში ჩააყენებს.

გამოსვლის დასასრულს, მან წარმატება უსურვა კონფერენციის მონაწილეებს და ყველა პროფესიულ საგანმანათლებლო ცენტრს, რომლებიც კვირეულზე, ღია კარის დღეების ფორმატში, მათ მიერ ბოლო ორი წლის განმავლობაში შესრულებულ სამუშაოს წარადგენენ; წარმატება უსურვა აგრეთვე „პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდოს“ კონკურსის მონაწილეებს.

„ჩვენი მიზანია, ვისაუბროთ, თუ რატომ არის პრიორიტეტული და მნიშვნელოვანი პროფესიული განათლება,“ – აღნიშნა მაგდა მაღრაძემ. „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი ამბობს, რომ კვირეული მიზნად ისახავს 51 ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საზოგადოებისათვის გაცნობას, რაც საქართველოს სხვადასხვა ქალაქში ღია კარის დღეების ჩატარებით იქნება შესაძლებელი.

კონფერენციის ერთ-ერთმა მთავარმა მომხსენებელმა, **ბრაიან გონსალესმა** აღნიშნა: *„პროფესიული განათლება ძალიან მნიშვნელოვანია და ამიტომ ვეძებთ გზებს ტექნოლოგიების დახმარებით როგორ გავაძლიეროთ მასწავლებლები და ჩავრთოთ ახალგაზრდები ამ მიმართულებით. თავისთავად, საგულისხმოა ჩვენი ვალდებულებები და ინვესტირება პროფესიული განათლების განვითარებისთვის. მინდა გითხრათ, რომ თქვენს ქვეყანაში ანალოგიური გამოწვევებია, რაც მსოფლიოში – სტუდენტებმა ყველა სფეროში უნდა შეძლონ თავიანთი უნარების განვითარება. ჩვენ სწორედ იმას ვცდილობთ, რომ გავამყაროთ ეს მიმართულება და მაქსიმალურად სასარგებლო გავხადოთ სტუდენტებისთვის“.*

კონფერენციას, ასევე, ესწრებოდნენ: ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის ვიცე-პრეზიდენტი **ლონა სთოლი**, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე **მარიამ ჯაში**, განათლების სფეროსა და კერძო სექტორის წარმომადგენლები.

კვირის განმავლობაში, პროექტის ფარგლებში დაფინანსებული ათი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება „ღია კარის“ დღეებს უმასპინძლებს. 9 ნოემბერს კვირეული „პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდო 2018-ის“ გამარჯვებულების დაჯილდოების ცერემონიალით დასრულდება.

მშობელთა კრება

გარდატეხის ასაკი
11–18 წლის ბავშვის ასაკობრივი განვითარება

თამარ გაგოშიძე
ნეიროფსიქოლოგი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა პროფესორი

გარდატეხის ასაკი – ეს ტერმინი შფოთვასა და დაძაბულობას იწვევს მშობლებსა და მასწავლებლებში! ამ დროს ბავშვი რადიკალურად იცვლება, მშობლები და მასწავლებლები ვერ ცნობენ, ცოტა ხნის წინ ასე ყველასათვის საყვარელ ბავშვს. რა მოხდა ისეთი, რომ ახლა ბავშვი ყველას წინააღმდეგაა, არაფერი მოსწონს, აღარ აინტერესებს ის, რაც ადრე იზიდავდა, საშინლად გაღიზიანებულია და ყველაფერს მწვავედ აღიქვამს? დიახ, ეს გარდატეხის ასაკია, რომელიც დისკომფორტია არა მხოლოდ გარშემო მყოფებისთვის, არამედ თვითონ ბავშვისთვისაც. ეს საკმაოდ დიდი და ძალიან მნიშვნელოვანი პერიოდი ბავშვის და მომავალი პიროვნების ცხოვრებაში რამდენიმე ეტაპად იყოფა: 11-13 წელი – წინაპუბერტატის პერიოდი, 13-15 წელი – ადრეული პუბერტატის პერიოდი, 15-17 წელი – შუა პუბერტატის პერიოდი და 17-19 წელი – გვიანი პუბერტატის პერიოდი. გოგონებში, საშუალოდ, პუბერტატის პერიოდი 11 წლის ასაკში იწყება, ხოლო ბიჭებში კი – 12 წლის ასაკში.

გარდატეხის ასაკი განვითარების კრიზისული პერიოდია, რადგან თვისებრივად იცვლება ბავშვის ფიზიკური მდგომარეობა, მისი სხეული, ფსიქოლოგიური და სოციალური განვითარება. ეს პერიოდი გარდატეხაა ბავშვობიდან მოზრდილობაში და კრიზისული სნორედ იმიტომაა, რომ ბავშვი უკვე აღარაა ბავშვი, მაგრამ არც მოზრდილია. როგორ გაივლის ამ პერიოდს, როგორ დაუჭერენ მას მხარს მშობლები გარდატეხის ასაკის კრიზისის დასაძლევად და როგორი გამოცდილებით გამოვა ამ პერიოდიდან, ამაზეა დამოკიდებული მისი პიროვნების ჩამოყალიბება, ფსიქიკური ჯანმრთელობა და მომავალი ცხოვრება.

რით ხასიათდება ადამიანის ცხოვრებაში გარდატეხის ასაკის რევოლუციური პერიოდი?

ორგანიზმის ფიზიკური ცვლილებები

ჩვილობის ასაკის შემდეგ, ეს პერიოდი უკიდურესად სწრაფი ფიზიკური ზრდით და ძლიერ გამოხატული ფიზიოლოგიური ცვლილებებით ხასიათდება, რაც 4-5 წელი გრძელდება. პირველ რიგში, ესაა ორგანიზმში მიმდინარე ჰორმონალური ცვლილებები. ერთდროულად იწყება ზრდის ჰორმონის, თიროიდული ჰორმონის და სქესობრივი ჰორმონების – გონადების ძლიერი აქტივაცია. ეს გავლენას ახდენს მოზარდის ორგანიზმის ფუნქციონირებაზე – ბავშვი უცბად იზრდება, სწრაფად მატულობს სიმაღლეში, იცვლება მისი სუნთქვისა და სისხლის მიმოქცევის სისტემა, ბიჭებში აქტიურად გამომუშავდება ტესტოსტერონი – მამაკაცური ჰორმონი, ხოლო გოგონებში – ესტროგენი და პროგესტერონი. მოზარდის თავის ტვინის სისტემები და მათი შემადგენელი ნეირონული წრეები აქტიურად ვითარდება, განსაკუთრებით აქტიურია ჰიპოთალამუსი და ჰიპოფიზი, ტვინის ის ნაწილი, რომელიც აკონტროლებს ზრდისა და სქესობრივი ჰორმონების გააქტივებას; ეს იწვევს მეორადი სასქესო ნიშნების აღმოცენებას: ბიჭებს უბოხდებათ ხმა, ემატებათ თმიანობა, ეზრდებათ კუნთების მასა; გოგონებს ეზრდებათ მკერდი, ეწყებათ მენსტრუალური ციკლი. სქესობრივი მომწიფება 12-13 წლიდან იწყება და 16-17 წლისათვის მთავრდება. ორგანიზმის ფიზიკური ცვლილებები ძალიან სწრაფად ხდება და შეიძლება უსიამოვნო იყოს მოზარდისთვის. მას ეცვლება სხეულის ფორმები, გარეგნობა უხეშდება, სხეული დისპროპორციული ხდება სწრაფი ზრდის გამო, იცვლება კანის ზედაპირი – ხშირია გამონაყარი. მოზარდის თავის ტვინშიც რევოლუციური ცვლილებები ხდება. ამიტომ მოზარდისთვის დამახასიათებელია მოჭარბებული ემოციურობა, იმპულსურობა, სიამოვნების და ახალი გამოცდილების ძიება, უგუნებობა და უხალისობა. თავის ტვინი, განსაკუთრებით კი შუბლის წილები, აგრძელებს განვითარებას 20 წლამდე.

შემეცნებითი უნარების განვითარება

11 წლიდან მოზარდის აზროვნება რადიკალურად იცვლება. ლოგიკური ოპერაციების განვითარებით, მათი აზროვნება მოზრდილებისას ემსგავსება. ამ ასაკიდან ბავშვს უკვე თავისუფლად შეუძლია განყენება, განზოგადება, ლოგიკური მსჯელობა და დასკვნის გამოტანა, კიდევ უფრო აქტიურად ვითარდება მკვეთრი წარმოსახვის უნარი. ამასთან ერთად, მოზარდის აზროვნება არათანმიმდევრულია, მისი მოჭარბებული ემოციური რეაქტიულობისა და იმპულსურობის გამო. გარდატეხის ასაკის მოზარდებს მოსწონთ კამათი – ეს მათი უფროსებთან ურთიერთობის წამყვანი სტილია, რადგან ხაზს უსვამს მათ დამოუკიდებლობას. ამის მიზეზია ის, რომ მოზარდის ლოგიკური უნარები სწრაფად ვითარდება და, მეორე მხრივ, იზრდება მისი სკეპტიციზმი, ავტორიტეტების შემოწმების და უარყოფის ტენდენცია, დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა. საკუთარი თავის შესწავლის და გაგების მოთხოვნილება წამყვანი ხდება და ამიტომ მოზარდის აზროვნება ეგოცენტრულობას უბრუნდება.

მოზარდის ეგოცენტრულობა, ანუ საკუთარ თავზე ფოკუსირება განსხვავდება სკოლამდელი ასაკის ბავშვების ეგოცენტრულობისაგან. გარდატეხის ასაკის ბავშვი საკმაოდ ბევრს ფიქრობს საკუთარი თავის შესახებ, საკუთარი თავითაა დაკავებული, იქნება ეს გარეგნობა, ურთიერთობები თუ სტატუსი. ამიტომ, ამ პერიოდში, ბავშვები თვლიან, რომ მათ ყველაფერი შეუძლიათ, ყველაფერი იციან და ჭკუის სწავლება არ სჭირდებათ. ძლიერი წარმოსახვისა და ეგოცენტრულობის გამო, გარდატეხის ასაკის მოზარდები ფიქრობენ, რომ სხვებიც ძლიერ დაინტერესებულები არიან მათი პიროვნებით, მათ წარმოსახვაში გარშემომყოფები მხოლოდ მათზე ამახვილებენ ყურადღებას და აფასებენ მათ. ამიტომ გარდატეხის ასაკის მოზარდები ხშირად თავს უხერხულად გრძნობენ, თითქოს სცენაზე არიან.

თუ მანამდე ბავშვის აზროვნება კონკრეტული ხასიათის, შავ-თეთრი იყო, „კარგი –ცუდი“, „მისაღები – მიუღებელი“ განზომილებებში, გარდატეხის ასაკში ის უკვე ნაცრისფერ ფერსაც იძენს. მოზარდს უკვე შეუძლია ლოგიკურად გააანალიზოს სიტუაცია, განიხილოს და შეადაროს სხვადასხვა ვარიანტი, გააკეთოს დასკვნა.

იზიდავს მისთვის უცნობი, შეუმეცნებელი, მისთვის ახალი მოვლენები, ნივთები, ადამიანები.

ფსიქოემოციური განვითარება

მოზარდის ემოციური სფერო და ფსიქოლოგიური მდგომარეობაც რადიკალურად იცვლება, მის ფიზიოლოგიურ და სხეულებრივ ცვლილებებთან ერთად. უფროსები გარდატეხის ასაკის ბავშვთან ურთიერთობას რთულ საქმედ მიიჩნევენ, რადგან მისი ქცევა მოულოდნელი, წინააღმდეგობრივი და იმპულსურია. მოზარდის ფსიქოემოციური სფეროს განსაკუთრებულობა სწორედ მის ამბივალენტობაში, ანუ საპირისპირო/წინააღმდეგობრივი აზრების, გრძნობების და ქცევების თანაარსებობაშია. თვითონ მოზარდისთვისაც დისკომფორტია ასეთი წინააღმდეგობრიობა, უჭირს საკუთარი თავის გაგება, ამიტომ ხშირად უკმაყოფილოა თავის თავითაც და გარშემომყოფებითაც.

სწრაფი სხეულებრივი ცვლილებების გამო, დროულად ვერ ეგუება და იღებს თავის შეცვლილ გარეგნობას. მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია როგორ გამოიყურება და ყველა დეტალს აქცევს ყურადღებას. გარეგნობაზე შფოთვა და საკუთარი გარეგნობით უკმაყოფილება მოზარდის ემოციური მდგომარეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია. შესაბამისად, ნებისმიერი, თუნდაც უწყინარი რეპლიკა მათი გარეგნობის შესახებ, ძალიან მძიმედ აღიქმება.

თავისი ეგოცენტრულობის გამო, მოზარდი თვლის, რომ ის თითქოს მიკროსკოპის ქვეშაა, გარშემომყოფები მას კრიტიკულად უყურებენ და აღიქვამენ, ამიტომ ხშირად თავს უხერხულად გრძნობს. ჰგონია, რომ ყველა მისით არის დაინტერესებული. სიმორცხვე და მოუქნელობა გარდატეხის ასაკის მოზარდისთვის ხშირი მახასიათებლებია, რის დაფარვასა და კომპენსაციასაც ის სხვადასხვა, ზოგჯერ არაადეკვატური გზით ცდილობს.

მოზარდობის ხანა იმპულსური და რადიკალური ქცევით გამოირჩევა. გარდატეხის ასაკში დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა და აღიარების მოთხოვნილება სარისკო ქცევების ალბათობას ზრდის. ჰორმონალური ცვლილებების გამო, ბავშვის ნერვული სისტემის აგზნება-შეკავების ბალანსი ირღვევა აგზნების სასარგებლოდ. მიუხედავად ლოგიკური აზროვნების განვითარებისა, მოზარდი ხშირად ვერ აკონტროლებს მოზღვავებულ ემოციებს და ენერგიას, როგორც წესი, **ამ ასაკში ჯერ მოქმედებენ და მერე ფიქრობენ.**

გარდატეხის ასაკის ბავშვისთვის რთულია ემოციების გაგება და მართვა, ამიტომ ხშირია ემოციური აფეთქებები, სიბრაზის, მოწყენის, უხალისობის და უგუნებობის გამოვლინებები. მოზარდობის პერიოდში შფოთვა და დეპრესია შესაძლოა არ ვლინდებოდეს ტიპურად, დიდად არ ეტყობოდეს ბავშვს და ამიტომ უფროსების ყურადღების მიღმა დარჩეს. ძნელია, ვითომ თავდაჯერებული, სკეპტიკურად განწყობილი და ჯიუტი მოზარდის ფასადის უკან, დაინახო შფოთვა და დეპრესიული გუნება.

მოზარდობის პერიოდში ხშირია მჩაგვრელის, მოძალადის როლის მორგება, ასევე ხშირია ჩაგვრის ობიექტად, მსხვერპლად ყოფნის შემთხვევები. მშობლები ხშირად არ არიან საქმის კურსში, რა ურთიერთობებში არიან მათი შვილები ჩართული და ყურადღების მიღმა რჩებათ მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობა, კავშირები, სამეგობრო წრე და ა.შ.

სოციალური განვითარება

მოზარდის ფსიქოლოგიურ პორტრეტში განსაკუთრებული ადგილი უკავია „მე-კონცეფციის“ (საკუთარი თავის შესახებ წარმოდგენა, რწმენები და საკუთარი თავის შეფასება) აქტიურ ფორმირებას და სრულიად ახალი მიმართულებით მიჯაჭვულობის ჩამოყალიბებას. თუ 11-12 წლამდე ბავშვისათვის მშობელი იყო მიჯაჭვულობის ობიექტი და მნიშვნელოვანი ავტორიტეტი, გარდატეხის ასაკში მოზარდისთვის უკვე მნიშვნელოვანი ხდება თანატოლების და სხვა მოზრდილების აზრი. მშობლების გავლენა მოზარდზე მცირდება, ხოლო თანატოლების ჯგუფის გავლენა კი – მნიშვნელოვნად მატულობს. მოზარდის მთავარი სოციალური ამოცანაა საკუთარი იდენტობის ძიება და აღმოჩენა. მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვაა „ვინ ვარ მე?“. თვითშემეცნება მოზარდის ერთ-ერთი წამყვანი შემეცნებითი ინტერესია, ამიტომ ექსპერიმენტირებს, გამოცდის სხვადასხვა როლებს, მათ შორის ნეგატიურს და მიუღებელსაც. გარდატეხის ასაკში ისე, როგორც არასოდეს, ბავშვს იდენტობის სრულიად განსხვავებული გამოვლინებები აქვს სხვადასხვა სოციალურ სიტუაციაში – თანატოლებთან, ქუჩაში, სკოლაში, ოჯახში და ა.შ. ის ცდის ალტერნატიულ როლებს, ქცევას, გარეგნობას. მოზარდთა დიდი უმრავლესობა ახერხებს საკუთარი ერთიანი, ინტეგრირებული „მე-კონცეფციის“ ჩამოყალიბებას სხვადასხვა როლების შეჯერებით და გამოცდით.

გარდატეხის ასაკის მქონე მოზარდებისათვის განსაკუთრებით მიმზიდველია სამეგობრო წრეები, მოზარდების ქუჩის დაჯგუფებები, თანატოლების ჯგუფები, რადგან ის უძლიერებს მათ მიკუთვნების და ჯგუფის მხრიდან მიმღებლობის განცდას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია „მე-კონცეფციის“ ჩამოყალიბებაში. მოზარდისთვის, დამოუკიდებლობის გრძნობასთან ერთად, უდიდესი მნიშვნელობა აქვს, იყოს ჯგუფის წევრი, აღიარებული ჯგუფის მიერ.

მორალური განვითარება

გარდატეხის ასაკში, როდესაც ძლიერია დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება, არჩევანი. ამიტომ, ამ პერიოდში, განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს ის ორიენტირები, რის საფუძველზეც იღებს მოზარდი გა-

მშობელთა კრება

დაწყვეტილებას, როგორ მოიქცეს. ამ ასაკში მთელი სიძლიერით იჩენს თავს საზოგადოებაში მიღებული მორალური, ეთიკური ღირებულებების გაცნობიერება და შეფასება, მსჯელობისა და მორალურ დილემებზე აქტიური ფიქრის საფუძველზე. მოზარდს აწუხებს შეკითხვები – რატომ იქცევიან ადამიანები ასე და არა სხვანაირად? ვერ იტანს ორმაგ სტანდარტებს, იგი გულწრფელია, კონკრეტული ქცევის ეთიკური შეფასება მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი და აუცილებელია, პიროვნების იდენტობის მდგრადობისა და განვითარებისთვის.

ბავშვის განვითარების ამ ეტაპზე, განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს პროსოციალური ქცევის მაგალითები. რადგანაც მოზარდისთვის მნიშვნელოვანია აღიარება, დამოუკიდებლობა და იდენტობის უნიკალურობა, საზოგადოების მხრიდან მისი მოხალისეობის, ენთუზიაზმისა და სხვაზე ზრუნვის წახალისება სასარგებლო და შედეგიანია. მოზარდი ამით აღიარებისა და მიკუთვნების მოთხოვნილებას იკმაყოფილებს და, იდენტობის გამოცდის მიზნით, მცირდება მისი სარისკო ქცევებში ჩართვის ალბათობა.

რისგან უნდა დავიცვათ მოზარდი?

იმპულსურობისკენ მიდრეკილების, ახლის შეცნობის სურვილის, საკუთარი იდენტობის ძიებისა და გამოცდის, თანატოლთა ჯგუფში აღიარების სურვილის გამო, მოზარდს რისკის შემცველი ქცევების განხორციელების დიდი ალბათობა აქვს. ეს შეიძლება იყოს ალკოჰოლი, თამბაქო, ნარკოტიკული ნივთიერებები, ადრეული სქესობრივი ცხოვრება, აზარტული თამაშები. მშობლების უმრავლესობა თვლის, რომ მათ შვილს ეს საშიშროება არ შეეხება, თუმცა სამწუხაროდ, ეს ასე არ არის. კვლევებით დასტურდება, რომ მშობლების დამოკიდებულება სარისკო ქცევების მიმართ, შვილებისადმი მათი ყურადღება, მიმღებლობა და გულდასმით მოსმენა ეხმარება მოზარდს საკუთარ თავში გარკვევასა და სოციალურად მისაღები ქცევის არჩევაში.

რაც უფრო მაღალი შფოთვა აქვს მოზარდს, რაც უფრო მეტად არის უკმაყოფილო საკუთარი თავით, რაც უფრო ნაკლები ან ანტაგონისტური ურთიერთობა აქვს მშობლებთან, რაც უფრო ნაკლებად აქცევენ ყურადღებას მის ემოციებს და აზრებს, ნაკლებად უსმენენ და მსჯელობენ მასთან, მით უფრო მეტია მის მიერ სარისკო ქცევების განხორციელების ალბათობა.

რა უნდა გააკეთოს მშობელმა?

➪ გახსოვდეთ, რომ თქვენ ხართ ბავშვის მშობელი და არა მეგობარი. მოზარდთან უკონფლიქტო, გულღია და ახლო ურთიერთობა არ გულისხმობს მასთან მეგობრობას. მშობელს არასრულწლოვან შვილზე პასუხისმგებლობა აქვს აღებული, რაც მოზარდმაც კარგად უნდა გააცნობიეროს;

➪ მოზარდზე ზეწოლა, ჩხუბი და მუქარა ყველაზე გამოუსადეგარი სტრატეგიაა, რადგან სრულიად საპირისპირო შედეგი მოაქვს. თქვენი შვილი კიდევ უფრო იკეტება და გშორდებათ, უფრო დაუმორჩილებელი და ჯიუტი ხდება;

➪ მოუსმინეთ შვილს, რას და როგორ გეუბნებათ. არ მოიმიზეზოთ თქვენი საქმეები და მხოლოდ ჭკუის დარიგებით ნუ შემოიფარგლებით, მიზანს ვერ მიაღწევთ. მოზარდი ვერ იტანს ჭკუის სწავლებას, მორალის კითხვას. ამის ნაცვლად, ეცადეთ რამდენიმე ალტერნატივა განიხილოთ და წაახალისოთ არჩევანი თვითონ გააკეთოს, როგორ ჯობს მოქცევა. ამ დროს მოზარდისთვის მნიშვნელოვანია, რომ გადაწყვეტილებას თვითონ იღებს, თუმცა თქვენი არგუმენტების და თქვენთან დისკუსიის გავლენით;

➪ თქვენ აღარ ხართ ბავშვისთვის უპირობო ავტორიტეტი, ამიტომ მოგიწევთ მასთან დისკუსია კონკრეტულ საკითხებზე. თქვენი მსჯელობა არგუმენტირებული უნდა იყოს და სიტუაციას ვერ გამოასწორებს განცხადება: „მე ასე მინდა და იმიტომ“. აუცილებლად მიეცით შვილს აზრის გამოხატვის საშუალება და მოსთხოვეთ არგუმენტები. ეს ამცირებს წინააღმდეგობას და აადვილებს კეთილგონიერი არჩევანის გაკეთებას;

➪ ღია კონტროლი ძალიან გამაღიზიანებელია დამოუკიდებლობის სურვილის მქონე მოზარდისთვის. ამავე დროს ძალიან მნიშვნელოვანია, ასწავლოთ მისი პასუხისმგებლობები და მოვალეობები. მასთან ერთობლივი შეთანხმებით, ბევრი რამ დამოუკიდებლად უნდა გააკეთოს – მოემსახუროს საკუთარ თავს, დაგეხმაროთ საოჯახო საქმეში, მოამზადოს საშინაო დავალებები. ეს უნდა წახალისებული და დაჯილდოებული იქნეს თქვენ მიერ. არ დაიშუროთ შექება და დადებითი შეფასება;

➪ დააწესეთ შეზღუდვები და ქცევის წესები. ყველაფერზე შენიშვნას ვერ მისცემთ და ვერც მუდმივად აკონტროლებთ. აუცილებელია, მოზარდმა იცოდეს როგორ ქცევას ელიან მისგან, ოჯახში ყველაზე პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით: კომპიუტერზე თამაშის დრო, სახლში მისვლის დრო, გასართობ დაწესებულებებში წასვლა... რაც უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, ასეთი შეზღუდვების დაწესება მოზარდისთვის სრულიად მისაღებია, რადგან იმის მიმანიშნებელია, რომ მასზე ზრუნავენ და გულგრილი არ არიან;

➪ გამონახეთ დრო, რომ, მაკონტროლებელი ფრაზების ნაცვლად, უბრალოდ დაელაპარაკოთ შვილს ცხოვრებაზე, თქვენს გამოცდილებასა და შეცდომებზე, მის ემოციებზე – რას გრძნობს და რას განიცდის, თუნდაც 20-30 წუთი დღეში;

➪ აუცილებლად აღნიშნეთ კარგი ქცევა, კონკრეტული მიღწევა. მოზარდებს თვითდაჯერება აკლიათ, დაბალი თვითშეფასების ტენდენცია აქვთ და ამიტომ მნიშვნელოვანია თქვენი დადებითი შეფასება;

➪ მიუხედავად დამოუკიდებლობისკენ სწრაფვისა და მშობლებისგან გაუცხოებისა, მოზარდისთვის მაინც მნიშვნელოვანია ოჯახური ერთობა, ერთობლივი, ხალისიანი და თბილი საღამოები, ოჯახური სადილი ან გასეირნება, მეგობარ ოჯახებთან ერთობლივი ღონისძიებები. ეს თავდაჯერებას და უსაფრთხოების განცდას უძლიერებს, ხელს უწყობს მის უფროსებთან კომუნიკაციას, ამცირებს წინააღმდეგობას და დაპირისპირებას;

➪ მიუხედავად თქვენი მოუცლელობისა, მოუსმინეთ შვილს – რას გელაპარაკებათ და როგორ. „აქტიური მოსმენა“ ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი იარაღია მშობლის ხელში, გარდატეხის ასაკის მქონე შვილთან ურთიერთობისათვის. კომუნიკაციის ეს სტრატეგია, პირველ რიგში, იმის ხაზგასმას გულისხმობს, რომ თქვენ გესმით, რას განიცდის, აძლევთ ემოციის გამოხატვის საშუალებას, არ უსვამთ „ჩამჭრელ შეკითხვებს“, არ ეკითხებით – „რატომ?“, რადგან თვითონაც არ აქვს პასუხი. პირიქით, აძლევთ საშუალებას, იმსჯელოს საკუთარი განცდების შესახებ და იპოვოს პრობლემის გადაწყვეტის ალტერნატიული გზები;

➪ ხელი შეუწყვეთ მოზარდს ინტერესების მიხედვით დაკავდეს კლასგარეშე საქმიანობით. გარდატეხის ასაკის ბავშვებისათვის განსაკუთრებით სასარგებლოა სპორტი, ხელოვნების, კონსტრუირების და საგამომგონებლო წრეები.

მათემატიკის სწავლებისთვის

სამობითი პოზიციური სისტემა

შეკრების ოპერაცია (სიმბოლო +) და ციფრი 1 წარმოადგენენ შემდეგი უსასრულო გამოსახულებების (ნატურალური რიცხვების) მიღების წყაროს:

1, 1+1, 1+1+1, 1+1+1+1, ... (1)

ამის შემდეგ დგება საკითხი:

როგორ ჩავწეროთ (1) გამოსახულებები უფრო მარტივად?

ამისათვის შემოვიღოთ სამი სიმბოლო (ციფრი) – 0, 1 და 2 და, მათი ურთიერთმდებარეობის (პოზიციის) გათვალისწინებით, ჩავწეროთ (1) გამოსახულებები. ამაში დასახმარებლად შევქმნათ მოდელი №3.

მოდელი №3

ამ მოდელში ნებისმიერი თვალსაჩინოება (სიმბოლო) შედგება ელემენტებისგან:



(ამის ტოლფასია ის, რომ ნებისმიერი რიცხვი შედგება 0, 1 და 2 ციფრებისაგან). მოცემულია წრეწირზე ტოლი მანძილით დაშორებული 3 თეთრი წერტილი, მათზე 0, 1 , 2 ციფრებით და 1 შავი წერტილი ერთ-ერთზე. საწყის მდგომარეობაში შავი წერტილი არის თეთრ წერტილთან ციფრით 0 .

ურთიერთცალსახაშესაბამისობა რიცხვებსა და თვალსაჩინოებებს (სიმბოლოებს) შორის ასეთია:



ყველგან წრეწირები დანომრილია 0, 1,.... რიცხვებით, მარჯვნიდან მარცხნივ. ყველაზე მარჯვნივ არის წრეწირი №0, შემდეგ – წრეწირი №1.

რიცხვების შეკრებას ჩვენს მოდელში შეესაბამება შავი წერტილის მოძრაობა წრეწირზე. შავი წერტილის 1 გადაადგილება ენოდება მის მოძრაობას წრეწირზე საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით (დადებითი მიმართულება) უახლოეს თეთრ წერტილამდე.ნებისმიერ წრეწირზე შავი წერტილის 1+1+1 გადაადგილება, ანუ 1 ბრუნი იწვევს მომდევნო წრეწირზე შავი წერტილის 1 გადაადგილებას. შეკრების დროს ჯამდება მხოლოდ ერთი ნომრის წრეწირების შავი წერტილის გადაადგილებები.

მაგალითები. მარჯვნიდან მარცხნივ



რადგან წრეწირზე №0 (შავმა) წერტილმა გააკეთა 1+1+1 გადაადგილება, ის გაჩერდა 0-თან, ანუ გააკეთა 1 ბრუნი, რაც არ ჩანს წრეწირზე №0, ამიტომ გახდა საჭირო №1 წრეწირის შემოტანა, სადაც მან გააკეთა 1 გადაადგილება.



რადგან №0 წრეწირზე გაკეთდა 1 ბრუნი და წერტილი გაჩერდა 1-თან, 1 ბრუნი კი ნიშნავს მომდევნო №1 წრეწირზე 1 გადაადგილებას და წერტილის გაჩერდებას 1-თან.



ანუ 11 + 2 = 20,

$$\begin{array}{r} 11 \\ +\ 2 \\ \hline 20 \end{array}$$

დავამყაროთ კავშირი სამობით და ათობით პოზიციურ სისტემებს შორის (გვექნება მარჯვნიდან მარცხნივ)



17 -ს შეესაბამება №0 წრეწირზე შავი წერტილის 17 გადაადგილება

რადგან 17 = 3 * 5 + 2 ამიტომ წერტილი გაჩერდა 2-თან №0 წრეწირზე (ნაშთი = 2), გააკეთა რა 5 ბრუნი (განაყოფი = 5), ანუ №1 წრეწირზე მოხდა 5 გადაადგილება.

5 = 3 * 1 + 2 ამიტომ წერტილი გაჩერდა 2 -თან №1 წრეწირზე, გააკეთა რა 1 ბრუნი, ანუ №2 წრეწირზე მოხდა 1 გადაადგილება.

1 = 3 * 0 + 1 ამიტომ წერტილი გაჩერდა 1-თან №2 წრეწირზე ისე, რომ ვერ გააკეთა ბრუნი (ამიტომ არ არის №3 წრეწირი შემოტანილი) პირითაც.



ანალოგიურად



ამიტომ, მაგალითად, $2\ 102_3 = 2 * 3^3 + 1 * 3^2 + 0 * 3^1 + 2 * 3^0 = 65$

ავლიდი ქარჩავა
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდინეძის საჯარო სკოლა

სასკოლო აქტივობა

შემოდგომის ფესტივალი

2018 წლის 31 ოქტომბერს სსიპ ქალაქ ქუთაისის №8 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა და პედაგოგიურმა კოლექტივმა წელიწადის უმშვენიერესი დრო – შემოდგომა ფესტივალით გავაცილეთ. იდეის ავტორი გახლდათ სკოლის დირექტორი **თეა ჩხეტია**, რომელმაც შემოგვთავაზა, რომ ღონისძიება სიმბოლურად დაგვეკავშირებინა მოსავლის აღებასთან, ხვავთან, ბარაქასთან, დოვლათთან და ასე გაგვეცოცხლებინა შემოდგომის სურათები.

ღონისძიების მომზადებაში ჩაერთო მთელი პედაგოგიური კოლექტივი, ყველა კლასი, დიდი იყო მშობელთა ჩართულობაც. სცენარის შექმნა და ხელმძღვანელობა დაეკისრა სკოლის უცვლელ „რეჟისორსა და პროდიუსერს“ – ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს, **მედეა გოქაძეს**. ჩვენი მიზანი იყო, სხვადასხვა აქტივობების გამოყენებით, დავხმარებოდით მოსწავლეებს, გაეაზრებინათ – შემოდგომა ყველაზე ბარაქიანი დროა საქართველოში, მათ შორის, იმერეთში, რომ შემოდგომა უფრო ხვავრიელი იქნება, თუკი შეიქმნება პირობები და სოფლის მცხოვრებლები არ დაკეტავენ მამაპაპის სახლ-კარს, არ გააცივებენ წინაპრების თბილ კერას, მიხედავენ და დაამუშავებენ ამჟამად ეკალ-ბარდებით დაფარულ მადლიან ქართულ მიწას.

ლიტერატურის გაცნობისა და თეორიული საუბრების დროს მოსწავლეების ყურადღება გავამახვილეთ იმ პასუხისმგებლობაზე, რომელიც მოსავლის აღებასთანაა დაკავშირებული, რომ ხილის თუ ბოსტნეულის არც დაგვიანებით დაკრეფა შეიძლება და არც ნაადრევად, მოსავლის აღებისას სიფრთხილეა საჭირო, რომ დაჟეჟილი და დაზიანებული ნაყოფი შესანახად უვარგისია.

...დავიწყეთ საქმის პრაქტიკული განხორციელება. სკოლის დერეფნებში მოეწყო მოსწავლეთა გამოფენები, რომლებშიც შემოდგომის მოტივები ჭარბობდა. საკუთარი ნამუშევრების პერსონალური გამოფენა წარმოგვიდგინა მე-9 კლასის მოსწავლე **ანრი ჩოგოვაძემ**. სკოლის პირველ სართულზე საშემოდგომო განწყობის შექმნაზე პასუხისმგებლობა დაწყებითი კლასის მოსწავლეებმა აიღეს, გაინაწილეს ვესტიბიულის მათთვის მოსახერხებელი მხარეები, მორთეს ხალიჩა-ფარდაგებით, თიხისა და ხის ჯამ-ჭურჭლით, სხვადასხვაგვარი სასმისებით: ფიალებით, ყანწებით, აზარფეშებით, აგუზგუზებული ბუხრის წინ, ხის დაბალ სუფრებზე გაწყობილი იყო დასვრეტილი ყველი და ნეშოიანი მჭადები, ქინძის სურნელით გაჯერებული ქოთნის ლობიო და პრასა, უამრავი ჩურჩხელა და ჩირი, ცოტა მოშორებით თავს იწონებდა უგემრიელესი, მრავალფეროვანი ხილით: ქარვისფერი მტევნებით, ლოყაწითელი ვაშლებით, დახეთქილი ბროწეულებით, წაბლით, თხილითა და ნიგზით სავსე ძველებური ხის გობები, იქვე ახლოს თავმომწონედ ჩამწკრივებულიყო ჩაფები და დოქები, ღვინის ქვევრები. ეზოში, მთავარ შემოსასვლელთან, არყის გამოსახდელი მოწყობილობაც გამართეს ჩვენმა მოსწავლეებმა; ახლოს დამსკდარი ნაყოფით ტოტებდამძიმებული ბროწეულის ხე იდგა, ხის გვერდით – ფერად-ფერადი გოგრების მთა. საპირისპირო მხარეს „სავარგულებიდან ახლადმოსულ“ ურემზე, ჩალის, თივისა და ჯერ კიდევ გამოურჩეველი სიმინდის ზორბა ტაროების ტევა აღარ იყო. სკოლის ღობეებზე ასკილი, მწვანე და წითელი კუნელი, ბროწეული, კომში და შავი ყურძნის მტევნები იწონებდა თავს.

„შემოდგომის ფესტივალი“ ორი ნაწილისგან შედგებოდა. პირველ ნაწილში დაწყებითი კლასის მოსწავლეებმა აჩვენეს თავიანთი ხედვა და დამოკიდებულება შემოდგომის მიმართ, თავისებურად გააცოცხლეს წელიწადის ეს უმშვენიერესი დრო. ულამაზეს სამოსში გამოწყობილი თვალხატულა გოგობიჭები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ლექსის თქმაში, ცეკვასა და სიმღერაში.

მთავარი სანახაობა სკოლის ეზოში, ნაძვების ხეივანში გაიმართა. სტუმრებს შორის იყვნენ: ქუთაისის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი **გიგა ციბაძე** და ქალაქის სკოლების ხელმძღვანელი მუშაკები. სტუმრებს მიესალმა სკოლის დირექტორი, ქალბატონი თეა, გააცნო მათ მოსწავლეთა ჩანაფიქრი და მოსალოდნელი შედეგები, რომელსაც ამ ღონისძიების განხორციელებით მიიღებდნენ ჩვენი აღსაზრდელები, პედაგოგები, მთლიანად სკოლა და პროექტში ჩართული მოსწავლეთა მშობლები.

გაიმართა ღონისძიების დასკვნითი განყოფილება, ჯერი საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებზე მიდგა. მათ წარმოადგინეს შემოდგომასთან, მოსავლის აღებასთან დაკავშირებული, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებული ტრადიციები. უცებ გაისმა მუსიკა და რას ვხედავთ, მე-11 კლასის მოსწავლე **ჯიმი სულაქველიძე** გვიჩვენებს ერთ-ერთი ეპიზოდის იმიტაციას ფრანკო კასტელანოს ცნობილი ფილმიდან „ჭირვეულის მორჯულება“. არაჩვეულებრივი მუსიკის

თანხლებით, ხის უზარმაზარ კასრზე დაყრილ ყურძენს ჯიმი ფეხით ჭყლეტდა. რადგან საქართველო, ტრადიციულად, მეღვინეობის ქვეყანაა, ყურძნის ფეხით დაწურვა ბუნებრივად შეერწყა ჩვენს ღონისძიებას. დიდი იყო აღფრთოვანება, ოვაციები... ახლა მშობლების ჯერი დადგა... მათ უგემრიელესი თათარა მოადუღეს, იქვე ხარიხაზე გადაკიდებული თხილისა და ნიგვზის ასხმები თათარაში ამოვლებას ელოდნენ... პირველი ჩურჩხელის ამოვლება ბატონმა გიგა ციბაძემ სცადაა, შემდეგ კი სტუმარმა ქალბატონებმა, მშობლებმაც, მოსწავლეებმაც... იმერულ, სვანურ, გურულ სამოსში გამოწყობილმა მოსწავლეებმა მრავალჟამიერი დააგუგუნეს.

ნამდვილი ფერთა ზეიმი იდგა, რაშიც ბუნების ჯადოსნური ხელიც ერია – მშვიდი, მზიანი შემოდგომის დღე ძალას გვმატებდა.

ღონისძიებით კმაყოფილმა ქუთაისის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, გიგა ციბაძემ შეაქო მოსწავლეები შესანიშნავი შესრულებისათვის, ხოლო სკოლის ხელმძღვანელობა და პედაგოგები კარგად გააზრებული და განხორციელებული ღონისძიებისთვის. „შემოდგომის ფესტივალზე“ შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა სკოლის დირექტორი, მან კიდევ ერთხელ მიულოცა ბავშვებს და აღნიშნა, რომ პროექტით დასახული მიზანი მიღწეულია. ქალბატონმა თეამ გამოთქვა მადლიერება, რომ მონაწილეებმა დიდი პასუხისმგებლობით, შრომისმოყვარეობითა და მიზანდასახულობით შეძლეს ეჩუქებინათ სტუმრებისთვის ერთი ბედნიერი დღე.

მზია ზარნაძე
სსიპ ქალაქ ქუთაისის №8 საჯარო სკოლის პედაგოგი

ინფორმაცია

სკოლის დირექტორებს, პედაგოგებს და ადმინისტრაციის თანამშრომლებს ხელფასები გაეზრდებათ

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე **ირინა აბულაძემ** თბილისის საჯარო სკოლების მასწავლებლებთან სამუშაო შეხვედრა გამართა და რეფორმის ფარგლებში გათვალისწინებული ზოგადი განათლების განვითარების ხედვა, სამომავლო გეგმები და ის ახალი ინიციატივები გააცნო, რაც სკოლებს კიდევ უფრო განავითარებს და მოსწავლეთა და პედაგოგთა მოტივაციას გაზრდის.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო ეროვნულ სასწავლო გეგმაში შესულ ცვლილებებს, სკოლის ახალი მოდელის კონცეფციას, სახელფასო ზრდის პოლიტიკას და სხვ. მინისტრის მოადგილის განცხადებით, ბევრი სიახლე ინერგება იმისათვის, რომ ამაღლდეს განათლების ხარისხი, სკოლა გახდეს უფრო საინტერესო და თანამედროვე, მოზარდებს განუვითარდეთ კრიტიკული და თავისუფალი აზროვნება.

პირველ რიგში, ეს არის ახალი სასწავლო გეგმა, განახლებული სასკოლო წიგნები და სხვა სასწავლო რესურსი, პილოტის რეჟიმში მიმდინარეობს სწავლების ახალი მოდელის დანერგვა, რომელიც კომპლექსურია და ბევრ მიმართულებას მოიცავს – ახლებურ მიდგომებს საგაკვეთილო პროცესში, მეტი ანალიზის შემოტანას, რაც შეიძლება მეტი ტექნოლოგიების, ინოვაციების დანერგვას სკოლებში. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რაზეც ირინა აბულაძემ ისაუბრა, მასწავლებლების, სკოლის დირექტორების და ადმინისტრაციის ხელფასების ზრდაა.

2019-2021 წლებში ხელფასები გაეზრდებათ სკოლის დირექტორებს, ადმინისტრაციულ პერსონალს და გაგრძელდება ხელფასების ზრდა მასწავლებლებისთვის. 2022 წლისთვის კი მასწავლებლის საშუალო ხელფასი 1800 ლარს მიაღწევს, ხოლო უმაღლესი საფეხურის მასწავლებლების ხელფასი – 2000 ლარს და მეტს. 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში თანხები უკვე გათვალისწინებულია.

„უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე პირები 320-ლარიან დანამატს იღებენ, ახალი ბიუჯეტით თანხა 150 ლარით გაიზრდება. დანამატის ზრდა 2020-2021 სასწავლო წელსაც იგეგმება. პრემიერის განცხადებით, 2023 წლისთვის, მასწავლებლების საშუალო ხელფასი 1 800 ლარი უნდა იყოს. დირექტორებს ხელფასი 30%-ით გაეზრდებათ. ასევე, დაგეგმილია პედაგოგების პროფესიული განვითარების სქემის მსგავსი ინსტრუმენტის შემუშავება სკოლის დირექტორებისთვის, რათა მათ საკუთარი უნარები გააუმჯობესონ და სკოლის მართვის პროცესში მეტად წარმატებულები გახდნენ.“ – განაცხადა **ირინა აბულაძემ.**

ინფორმაცია

ინკლუზიური ხელოვნების განვითარებისთვის

5-10 ნოემბერს, ინკლუზიური ხელოვნების განვითარების დარგში მოღვაწე ბრიტანელი ექსპერტი **ტიმ უილერი**, ინკლუზიური ხელოვნების განვითარების მხარდასაჭერად, საკონსულტაციო შეხვედრებს მართავს როგორც ინკლუზიური ხელოვნებით დაინტერესებულ ორგანიზაციებთან და პირებთან, ისე განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენლებთან. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ექსპერტი შეიმუშავებს რეკომენდაციებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ხელოვნებაში ჩართულობისა და სახელოვნებო სივრცეების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისათვის.

პროექტი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ბრიტანეთის საბჭოს თანამშრომლობის ფარგლებში ხორციელდება.

ტიმ უილერი ხელოვნების დამოუკიდებელი კონსულტანტია, პედაგოგი, თეატრალური კომპანიის Mind the Gap თანადამფუძნებელი და ყოფილი სამხატვრო ხელმძღვანელი. ოცდაათწლიანი გამოცდილების მანძილზე, მან 18 გასტროლზე, 100-ზე მეტ სახელოვნებო პროექტსა და საგანმანათლებლო პროგრამაზე იმუშავა.

5-6 ნოემბერს, ბრიტანელი ექსპერტი საკონსულტაციო შეხვედრებს გამართავს სამინისტროს წარმომადგენლებთან და ხელოვნების სექტორში დასაქმებულ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან, 8-10 ნოემბერს კი, ჩაატარებს ტრენინგებს სახელწოდებით – „საგრანტო პროექტის დაწერა, აქტივობათა დაგეგმვა, პროექტის განხორციელება და შეფასება“.

ტრენინგის მიზანია ინკლუზიური ხელოვნების სფეროში მომუშავე მენეჯერების პროფესიული უნარების განვითარება პროექტის შეთავაზების დაწერაში, დაგეგმვაში, განხორციელებასა და შეფასებაში. ტრენინგის მონაწილეები ცოდნას გაიუმჯობესებენ შემდეგ საკითხებში:

- ❖ არსებული საპროექტო განაცხადის ნიმუშის განხილვა და შეფასება;
- ❖ პროექტის იდეის ნათლად ჩამოყალიბება;
- ❖ წინასწარი დაგეგმვის მნიშვნელობა და გრაფიკი;
- ❖ როლებისა და მოვალეობების გადანაწილება;
- ❖ ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილები და გათვლები;
- ❖ პიარ და მარკეტინგული გეგმის მნიშვნელობა;
- ❖ რისკების გათვლა;
- ❖ აუდიტორიის, პროექტის მონაწილეების, სპონსორების მოსაზრებების შეგროვების და გაანალიზების მნიშვნელობა და ა.შ.

ტიმ უილერის ვიზიტი ნაწილია ბრიტანეთის საბჭოს პროგრამის – შეუზღუდავი შესაძლებლობები: „სწორი ნაბიჯების გადადგმა“. პროგრამის მიზანია ინკლუზიური ხელოვნების განვითარება, ბრიტანული გამოცდილების გათვალისწინებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ხელოვნების სფეროში ჩართულობის ხელშეწყობა და ამ პირთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნა.

„ჩვენი აქტივობები საშუალებას აძლევს როგორც შშმ, ისე ტიპური განვითარების პირებს, შეიძინონ აუცილებელი უნარები, ითანამშრომლონ ინტეგრირებულ გარემოში, გაეცნონ ბრიტანულ გამოცდილებას ინკლუზიური ხელოვნების თვალსაზრისით და დაამყარონ ახალი კონტაქტები. შესაბამისად, ვიმედოვნებთ, რომ როგორც საკონსულტაციო კომპონენტი, ისე ტრენინგი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ინკლუზიური ხელოვნებით დაინტერესებულ მოყვარულ თუ პროფესიონალ ხელოვანებს საქართველოში ამ სფეროს განვითარებასა და საჭირო უნარების გაუმჯობესებაში.“ – ამბობს ტიმ უილერი.

სპორტი

კოორდინატორთა შერჩევა გრძელდება

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროექტი, სკოლებსა თუ სკოლამდელ სასწავლო დაწესებულებებში სპორტის გაკვეთილების გაუმჯობესების მიზნით, ახალ ფაზაში გადავიდა. შეგახსენებთ, რომ ამ პროექტის მიზანია მოსწავლეებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვა ფორმალური თუ არაფორმალური სწავლების გზით, სპორტის მასწავლებელთა დახმარება საგაკვეთილო პროცესის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად დაგეგმვაში და სხვ. ის რამდენიმე მიმართულებით ხორციელდება და სასწავლო-თეორიულ კურსთან ერთად პრაქტიკულ მიმართულებებსაც მოიცავს, მის ფარგლებში კი დაგეგმილია სხვადასხვა ტიპის სპორტული აქტივობები, ასევე სხვადასხვა მასშტაბის სპორტული ფესტივალები – რეგიონული, შიდა სასკოლო, საქალაქო თუ სხვა; ასევე, ლაშქრობა-ექსპედიციები მშობელთა ჩართვით, პედაგოგთა გადამზადება, კოორდინატორთა შერჩევა და სხვ. ამჟამად სწორედ ეს ბოლო ეტაპია აქტიურ ფაზაში, თუმცა უკვე ისიც დასასრულს უახლოვდება.

პედაგოგთა გადამზადება შარშან თბილისის მასშტაბით დაიწყო. რადგან ეს პროცესი მთელ ქვეყანას მოიცავს, პარალელურად, დაიწყო მუშაობა კოორდინატორთა შერჩევა-გადამზადებაზე. ვინაიდან სამინისტრო ვერ გაწვდება ყველა სკოლას, ამიტომ თავდაპირველად აქცენტი აღებულია რეგიონულ პრინციპზე, რათა დასაწყისისთვის შეარჩიონ კანდიდატები, რომლებსაც, სათანადო ტრენინგების შემდეგ, მიეცემათ უფლება, თავიანთ რეგიონებში სპორტის მასწავლებლებს ჯერ გაკვეთილები ჩაუტარონ, მერე კი სულაც გადაამზადონ ისინი. შარშან ამ საქმის სიმძიმე თბილისმა იკისრა, როცა სასწავლო უნივერსიტეტის (ყოფილი სპორტის აკადემია) ბაზაზე შეკრიბეს 19 პედაგოგი, რომლებსაც ჩაუტარეს სემინარები, თუ რას ითვალისწინებს სპორტის სწავლების თანამედროვე მოთხოვნები, მეთოდიკა და სამინისტროს პოლიტიკა ამ მიმართულებით. ეს მოთხოვნები მათ ადგილებზე უნდა გადაეცათ სპორტის მასწავლებელთათვის, ხოლო მოგვიანებით, სამინისტრომ შეამოწმა, რამდენად ასრულებდნენ ისინი ამ მისიას.

ახლა დღის წესრიგში დადგა კოორდინატორთა ადგილებზე შერჩევა და მათთვის იქვე სათანადო სემინარების ჩატარება. ახალი სასწავლო წლის დაწყებიდან, სწორედ ამ მიზნით, რეგიონებს სტუმრობდა აღნიშნული პროექტის ხელმძღვანელი და ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი **გია ბეგიაშვილი**, რომელმაც სამუშაო შეხვედრები გამართა რუსთავში, გორში, მცხეთაში, ქუთაისში, ბათუმში, ზუგდიდში და სხვაგან. ამ დროს მათ შეარჩიეს საპილოტე სკოლები და პედაგოგები, სადაც განხორციელდება აღნიშნული პროექტის რეალურ ცხოვრებაში დანერგვა. შეხვდნენ კოორდინატორებს, რომლებიც კურატორობას გაუწევენ ამ სკოლების მასწავლებლებს.

თუმცა ეს რეგიონული მასშტაბის შეხვედრები იყო და არა კონკრეტულად იმ ქალაქებისა, ოღონდ ამგვარი გამონაკლისებიც იყო. მაგალითად, ბათუმში გამართულ შეხვედრას, ქალაქის 10 საპილოტე სკოლის პედაგოგთან ერთად, ავტონომიური რესპუბლიკის ხუთივე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ბათუმზევე იყო მიბმული გურიის რეგიონიც, სადაც ჯერჯერობით პროექტში ჩართული მხოლოდ ლანჩხუთის რაიონია. ქუთაისში, იმერეთის რეგიონის სკოლებთან ერთად, ესწრებოდნენ რაჭის ორივე რაიონისა და ცაგერის წარმომადგენლები. მიწვეული იყო ლენტეხიც, თუმცა მათ ამჯერად ჩასვლა ვერ შეძლეს. გორში, ქარელის წარმომადგენლებთან ერთად, შეხვედრას სამცხე-ჯავახეთის რეგიონიც ესწრებოდა, თუმცა – მხოლოდ ახალციხის წარმომადგენლები. რუსთავში ქვემო ქართლის სკოლები იყვნენ წარმოდგენილნი, მაგრამ ზუგდიდში მხოლოდ ქალაქის სკოლები ესწრებოდნენ და არა სხვა რაიონებისა, თუმცა ზუგდიდის ყველა სკოლა მოიცვეს. უახლოეს პერიოდში, ანალოგიური მიზნით, თიანეთსა და დმანისსაც ეწვევიან, სადაც უკვე შერჩეული ჰყავთ კოორდინატორები.

მთლიანად, ქვეყნის მასშტაბით, შერჩეულია 40-მდე კოორდინატორი, რომლებზეც თანდათან ნაწილდება სწავლების მთელი სიმძიმე. პირველ ეტაპზე, ვიდრე სისტემა კარგად გაიმართება, ორგანიზატორები დიდ მასშტაბებზე გასვლას ერიდებიან და თანდათან გაშლიან ამ ქსელს. მაგალითად, ბათუმში, ჯერჯერობით, სულ 10 სკოლაა შერჩეული, მაგრამ როცა სხვა კოორდინატორებსაც მოამზადებენ, ცხადია, ეს რაოდენობაც პროპორციულად გაიზრდება, ასევე ხულოში ჯერ 4 სკოლაა შერჩეული, თუმცა გაფართოება იქაც და სხვა რეგიონებშიც დროის ამბავია. მთავარი პრინციპი ისაა, რომ დროთა განმავლობაში, მუშაობის მთელი სიმძიმე, თანდათან, სამინისტროდან, ანუ ცენტრიდან, მათზე გადავიდეს, რათა თავიანთ რეგიონებში მათვე შეარჩიონ სკოლები და თეორიული სწავლების კურსიც ჩაუტარონ იქაურ მასწავლებლებს. ერთი სიტყვით, მათ უნდა გაშალონ მუშაობა ადგილებზე. მაგალითად, თბილისში, თავიდან, მცირე ოდენობით შეარჩიეს საპილოტე სკოლები, მაგრამ დღეს უკვე 5 კოორდინატორი და პროგრამაში ჩართული 45 სკოლა ჰყავთ. მალე იგივე მოხდება სხვა რეგიონებშიც.

დეკემბერში განზრახულია ამ კოორდინატორებისთვის სამდღიანი ტრენინგების ჩატარება.

ამასობაში კი, უკვე მიმდინარეობს ტრენინგები სპორტის მასწავლებელთა გადასამზადებლად, რომელსაც განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო სპორტის სასწავლო უნივერსიტეტთან ერთად ახორციელებს. ანალოგიურ პროექტზე ჩვენი გაზეთის წინა ნომერშიც ვწერდით, რომელიც, თბილისის მერიის აქტიური მხარდაჭერით, საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა წამოიწყო, ასევე, სპორტის უნივერსიტეტთან და სპორტულ ფედერაციებთან ერთად, თუმცა ის, ძირითადად, მწვრთნელთა გადამზადებაზეა აქცენტირებული, ოღონდ ბავშვთა მწვრთნელების გადამზადებასაც ითვალისწინებს, ეს პროექტი კი მთლიანად და მხოლოდ სპორტის მასწავლებლებზეა გათვლილი. მასში ჩართულია სპორტის 7 სახეობა – რაგბი, ფეხბურთი, ხელბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, მძლეოსნობა და ტანვარჯიში. ტრენინგები 3 ნოემბერს დაიწყო და, პირველ ეტაპზე, ქვეყნის მხოლოდ 3 რეგიონს მოიცავს: თბილისს, ქვემო ქართლსა და კახეთს. პროექტის მიზანია პედაგოგთა შემოწმება-მომზადება როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ნაწილში, ანუ თეორიულად ნასწავლს მერე პრაქტიკულადაც შეამოწმებენ. თუმცა პროექტი, ამასთან ერთად, გულისხმობს სწავლების კურსს ფსიქოლოგიაში, ფიზიოლოგიაში და სხვ.

ამჯერად 23-იანებში გაიბრწყინეს

უნგრულ დიორში დასრულდა 23-წლამდელ ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც ჩვენი ნაკრები კვლავაც წარმატებით გამოვიდა – 5 მედალი მოიპოვეს, საიდანაც 1 ოქროა, 2-2 კი – ვერცხლი და ბრინჯაო.

არადა, ახალგაზრდებისთვის, ბოლო ორ თვეში, ეს მესამე დიდი ტურნირი იყო და თავი იქაც ისახელეს. შეგახსენებთ, რომ მათ 20-წლიანთა ევროპის ჩემპიონატში 6, მსოფლიოს პირველობაზე კი 5 მედალი მოიპოვეს.

ახლანდელ წარმატებაში, ბიჭებთან ერთად, გოგონების წვლილიც ურევია. ისინი სულ ორი სპორტსმენით იყვნენ წარმოდგენილნი და ერთი ბრინჯაო მოიპოვეს – **ეთერ ლიპარტელიანი** (57), 20-წლიანებში ევროპის ვიცე-ჩემპიონობის შემდეგ, 230-იანებში ევროპის მესამე პრიზიორი გახდა.

20-წლამდელთა მსგავსად, ქართული ფინალი 23-წლიანთა ევროპის ჩემპიონატზეც ვიხილეთ და თანაც ისევ 81 კილოგრამში. თუმცა, ამჯერად ის არ შედგა, რადგან **თამაზ კირაკოზაშვილმა,** მუხლის ტრავმის გამო, ვერ შეძლო ფინალში ჭიდაობა და **ვლადიმერ ახალკაცმა** უბრძოლველად მოიპოვა ევროპის ჩემპიონობა. ოღონდ უბრძოლველად – მხოლოდ ამ კონკრეტულ შეხვედრაში, თორემ მანამდე ქვეჯგუფში მანაც გვარიანად იბრძოლა – ჯერ კვიპროსელ **კირიაკოს ნიკოლაუს** გაუსწორდა იოლად, როცა შორიდან წამოიღო კისრულზე, მერე უნგრელი **ბენედეკ ტოტი** დასცა ბეჭებზე, ხოლო მეოთხედფინალში გერმანელი **ტიმ გრამკოვი** დააიპონა კისრულით. ნახევარფინალში მომავალმა ჩემპიონმა ბრიტანელი **სტიუარტ მაკკუაიტი** ჩამოიშორა გზიდან ვაზარით.

სწორედ ნახევარფინალური ეტაპი ექცა საბედისწეროდ კირაკოზაშვილს, რადგან ჰოლანდიელ **ჯიმ ჰაიხმანთან** მუხლი იტკინა და ფინალში საჭიდაოდ გასვლა კი არა, კვარცხლბეკზე ასვლა ძლივს შეძლო. არადა, ჰოლანდიელთან შეხვედრა, დამატებით დროში, 6 წუთზე მეტ ხანს გაგრძელდა; ჩვენებურმა კი ორი გაფრთხილებაც მიიღო, ვიდრე იპონზე დაადებდა მეტოქეს. მას მუხლი შეუტრიალდა საკმაოდ მძიმე ტრავმაც მიიღო, რაც არა მხოლოდ ამ სეზონის დარჩენილ ნაწილს, არამედ სამომავლო სეზონის დასაწყისსაც გამოატოვებინებს.

მანამდე კირაკოზაშვილმა ორი პაექრობა მოიგო. პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში კი პირწმინდად დაჩაგრა აზერბაიჯანელი **სამირ აგაევი.** მასთან ჭიდაობა სულ 2.19 წუთს გაგრძელდა, ამ მცირე დროში ჩვენებურმა ორი გდების გაკეთება მოასწრო. გერმანელ **ტიმო კაველიუსს** 10 წამით ნაკლები ეჭიდავა და პირდაპირ ბეჭებზე დააგდო. როგორც გითხარით, მადიართა მიწაზე ქართული ფინალი არ შედგა და ახალკაცმა უბრძოლველად მიიღო ოქრო, კირაკოზაშვილი კი ვერცხლს დასჯერდა.

ბიჭებში ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ჯაბა პაპინაშვილიც** (60) გახდა, ხოლო მესამეზე **ონისე სანებლიძე** (100) გავიდა.

დიორში ჩვენს ნაკრებს პირველი მედალი სწორედ პაპინაშვილმა მოუტანა, ვისაც წლეულს ჩინებული სეზონი აქვს: 20-წლიანებში ევროპის ჩემპიონატზეც ბრინჯაო მოიპოვა და მსოფლიოზეც, ახლა კი ერთი ნაბიჯით წინ წაიწია. ის წლეულს გადმოვიდა ამ წონაში, მაგრამ შესაშური სტაბილურობა გამოავლინა.

არადა, სულ რამდენიმე დღის წინ, ახალგაზრდებში, მსოფლიოს პირველობაზე, ბრინჯაოს მედალი მოიპოვა – მას შემდეგ მხოლოდ ორი კვირაა გასული. თანაც, კარგად მოგეხსენებათ, ის ტურნირი შორეულ ბაჰამის კუნძულებზე ჩატარდა და გასათვალისწინებელია ის დამატებითი მორალურ-ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური დატვირთვა, რაც ასეთ შორეულ მანძილზე გადაფრენ-გადმოფრენას ახლავს თან. ამის მიუხედავად, პაპინაშვილმა ქვეჯგუფში მაინც ძალიან ძლიერად იჭიდავა. პირველ წრეში ისიც ისვენებდა, მერე კი ჯერ მოლდოველი **მიჰაილ დონცილა** დააგდო ბეჭებზე, აზერბაიჯანელ **რაშად იელკიევს** კი ბოლო წამებზე მოუთავა ხელი.

ამის შემდეგ პაპინაშვილს საქმის დაჭერა რუსებთან მოუხდა. იმათგან პირველს, ეროვნებით მართლაც რუსს – **ივან დოლგიხს,** დამატებით დროში, ვაზარით აჯობა ნახევარფინალში, მეორეს კი, ეროვნებით ქართველ **იაგო აბულაძეს** ფინალში ვერ გაუმკლავდა და ვერცხლს დასჯერდა.

სეზონის მესამე მთავარ ტურნირზე მოიპოვა მედალი სანებლიძემაც – 20-წლიანებში ევროპის ჩემპიონობა იზეიმა, მსოფლიოზე კი მესამე იყო, როგორც ახლა, დიორში. ორივე სპორტსმენი გაისიდან უკვე აქტიურად ჩაებმება სალიცენზიო ტურნირებში უფროსთა შორის.

რუბრიკას უძღვება ირაკლი თავაძე

სასწავლო პროექტები

წიგნში მოცემული ნიმუშები დაეხმარება მასწავლებელს, გაეცნოს სხვადასხვა საგნებში შექმნილ სასწავლო პროექტებს. ახსნილია პროექტის სტრუქტურა და გაწერილია რეკომენდაციები, როგორ უნდა შეიქმნას თითოეული სტრუქტურული ერთეული. მასალის გამოყენებით, მას შეუძლია დაგეგმოს სასწავლო პროექტი ამა თუ იმ საგანში.

11 ლარი

ქართული I-VI კლასები

წიგნი შექმნილია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად და დაეხმარება I-VI კლასების მასწავლებლებს, წარმატებით ჩააბარონ საგნობრივი გამოცდა.

11 ლარი



პროფესიული უნარები

დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია ყველა საგნის მასწავლებლისთვის

15 ლარი

ტესტების კრებული მასწავლებლებისთვის პროფესიულ უნარებში

წიგნი მოიცავს ტესტების შესრულების ინსტრუქციას, ტესტებს პასუხებით და ტერმინების განმარტებით ლექსიკონს. ტესტები სრულად მოიცავს საგამოცდო პროგრამას.

15 ლარი

მასწავლებლის სამუშაო რვეული

4 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

6 ლარი

ქათედრის გამგის პორტფოლიო

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

5.50 ლარი

ცნობარი დაწყებითის პედაგოგებისთვის

14 ლარი

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

6.50 ლარი

ელექტრონული რესურსები

მოვემზადოთ საატესტატო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გადასაფხეკი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე fb.com/bakursulakauripublishing ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩააბაროთ როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.

თითო კრებულის ფასი – 10.90 ლ

ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით.

სერიის ფასი – 32.40ლ

ქართული ენის კრებულები

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.

სერიის ფასი 17.70 ლ

7 ლარი

ქართული ენის გრამატიკა სინტაქსი (სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე

8 ლარი

ქართული ენის გრამატიკა მორფოლოგია (სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე

4 ლარი

თამაზ ვასაძე
ქართული ენის ეტიმოლოგიური პრობლემატიკის მასალები სასკოლო სახელმძღვანელოებისთვის



12 ლარი

თამაზ ვასაძე
ქართული ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი
ტექსტი და ანალიტიკური
ფუნქციონალური
ფონეტიკა



6 ლარი

ბიოლოგია

საატესტატო გამოცდისთვის
ლ. ბურდილაძე, ნ. სიხარულიძე, ქ. ბალრაძე, დ. ნაზარიშვილი



რუკები

39.90

10 ლარი

თამარ ბერძენიშვილი

ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)



10 ლარი

ფიზიკა

საატესტატო გამოცდისთვის
ქ. ფაღიშვილი, ზ. ბერია

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:

მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735,
ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შეკვეთის მსურველები დაგვიკავშირდით:
555 411 668, 599 88 00 73,
032 295 80 23

პედაგოგთა დასახმარებლად

12 ლარი

10 ლარი

არაქართულენოვანი სკოლების პედაგოგებისთვის

პროფესიული უნარების გამოცდისთვის მოსამზადებლად

9 ლარი

„ინტელექტი“ და „არტანუჯი“ გთავაზობთ

15 ლარი

ეროვნული გამოცდების სიმულაცია
გიორგი მეჭურჭლიშვილი, არჩილ თაბუკაშვილი, კონსტანტინე ბარამია

19 ლარი (ერთი ცალი)

გავიმეოროთ მათემატიკა

წიგნი დაწერილია აბიტურიენტებისა და მასწავლებლებისთვის. მასალა დალაგებულია პრობლემის მიხედვით და გადმოცემულია გეომეტრიის, ანალიზის, ალბათობისა და სტატისტიკის საკითხები.

ტესტები ქართულ ლიტერატურაში

საატესტატო და ეროვნული გამოცდებისათვის

წიგნი I
V-XVIII საუკუნეების მწერლობა

წიგნი II
XIX საუკუნის მწერლობა

წიგნი III
XX საუკუნის მწერლობა

თითო ტომის ფასი 13 ლარი

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №14
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.akhaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“
ს/კ 202058735, ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >
ფასი – 1 ლარი 90 თეთრი

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.